ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 5 აპრილი 1997 №38 (403) ფასი 40 თეთრი


## გლენ ჰოდლს ქართველების იმედი აქვს: იტალიას თბილისში ხიფათი მოელისო

პოლონეთისა და იტალიის ნაკრებების მატჩის მიმდინარეობა წინა „სარბიელში" გაუწყეთ. იქვე შემოგთავაზეთ ორივე თავკაცის და საქართველოს ეროვნული გუნდის მეორე მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის კომენტარებიც. ახლა კი კიდევ ერთი დაინტერესებული პირის, ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელის, გლენ ჰოდლის ნათქვამს მოგახსენებთ:

„ფრემ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი გაგვიზარდა. ახლა უფრო თავისუფლად შეიძლება სუნთქვა, თუ დარჩენილი თამაშები ისე დამთავრდა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, მაშინ სულ ბოლო შეხვედრაში, იტალიაში გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ გაგვიყვანს. რაც შეეხება მატჩს, მან დაგვანახა, რომ პოლონელებთან მათ მოედანზე თამაში ჯოჯოხეთური საქმეა. იტალიელებთან პოლონელებს უკეთესი მომენტები ჰქონდათ. ნეტავ მოეგოთ, ამით ხომ ჩვენს კონკურენტებს სამ ქულას დააკარგვინებდნენ, თუმცა არც ეს ანგარიში იყო ცუდი. ადრეც მითქვამს და ახლაც მსურს გავიმეორო: ჩვენს ჯგუფში ქულები მხოლოდ ინგლის — იტალიისა და იტალია — ინგლისის შეხვედრებში არ დაიკარგება. ჩვენ პოლონეთში გველის ხიფათი, იტალიას კი — საქართველოში. რაც შეეხება 30 აპრილის მატჩს საქართველოსთან, ის აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ქართველებს ტექნიკური მოთამაშეები ჰყავთ და თუ მათ სივრცეს დავუთმობთ, ხელ-ფეხს გავუხსნით. მოკლედ, მათთან შეხვედრაში ძალთა სრული მოკრება გვმართებს. სულ ამბობდნენ, გადამწყვეტი ჩვენი და იტალიელების შეხვედრა იქნებაო. მე კი ვამტკიცებ, რომ ბევრი რამ სხვა შეხვედრებში გადაწყდება. ცხადია, უმნიშვნელოვანესი მატჩი ბოლოს გველის, იტალიაში. თუ იქ ყველა წამყვანი ფეხბურთელი მეყოლება, მჯერა სასურველ შედეგს მივაღწევ. ჩემთვის ოპტიმალური შემადგენლობა აქამდე ხომ არ მყოლია.

დავუბრუნდები ხოჟუვის მატჩს. ვფიქრობ, ჩვენსა და იტალიაზე საუბარში პოლონეთის ნაკრებს ჯეროვანი შეფასება მოაკლდა. არადა, ის სოლიდური გუნდია, ფრიად დისციპლინიანი მცველები ჰყავს, რომელთაც რაგინდარა თავდასხმის შეჩერება სძალუძთ. მჯერა, მასპინძლებს შუა თამაშში გამთამაშებელი პიოტრ ნოვაკი რომ არ დაშავებოდათ, გაიმარჯვებდნენ. იტალიელებს კი ყველაზე მეტად პოლონეთის დაცვის გარღვევა გაუჭირდათ, თუმცა თავადაც იგივე პრობლემა შეუქმნეს მეტოქეს. ამაზე ცოტა სახიფათო მომენტიც მეტყველებს".

როგორც ხედავთ, ინგლისელ მწვრთნელს საქართველო, მიუხედავად ორი სასტარტო მარცხისა, სახიფათო მეტოქედ მიაჩნია. იგივე აზრი გამოთქვა ხოჟუვიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ჩეზარე მალდინიმაც, როდესაც ერთ-ერთ შეკითხვას უპასუხა:

— ჯერ კიდევ რთულ მატჩები გველის — თვის ბოლოს ნეაპოლში პოლონეთს ველით, ხოლო სექტემბერში საქართველოში ვართ ჩასასვლელი. ეს ის საქართველოა, პერუჯაში ფრიად რომ გაგვაწვალა.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლუჩანო ნიცოლაც, რომელსაც ჰკითხეს, საფრანგეთში გასამგზავრებელ ბილეთებს უკვე ხომ არ ყიდულობთო.

— ჯერ არა, ჯერ არა — უპასუხა ნიცოლამ — ჯერ კიდევ გვაქვს რთული შეხვედრები შინ პოლონეთთან და ინგლისთან, სტუმრად კი საქართველოსთან.



გუშინწინ „შევარდენზე": თსუ — „სიონი". თბილისელ ჩიგოშვილს სიონელი ჩომახიძე უშლის ხელს


3 გვერდზე



უიშვიათესი შანსი ფეხბურთის მოყვარულთათვის!

უპასუხებთ ხუთ კითხვას?

დაისვენებთ ესპანეთში!


3 გვერდზე

### საქართველოს ჩემპიონატი — 20 ტური

თსუ 0:1 სიონი
სამგურალი 0:0 კოლხეთი
მარგვეთი 4:1 სამტრედია
კახეთი 1:2 ტორპედო
მერანი 0:0 ბათუმი
გურია 3:2 დილა

დღეს:
დინამო - გორდა
ოდიში - ივერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 15 | 2 | 1 | 66:15 | 47 |
| ბათუმი | 20 | 13 | 6 | 1 | 50:11 | 45 |
| კოლხეთი | 20 | 13 | 3 | 4 | 46:21 | 42 |
| მერანი | 20 | 11 | 5 | 4 | 31:18 | 38 |
| ტორპედო | 20 | 10 | 2 | 8 | 47:39 | 32 |
| მარგვეთი | 19 | 10 | 1 | 8 | 31:37 | 31 |
| გურია | 20 | 8 | 3 | 9 | 23:39 | 27 |
| ოდიში | 19 | 8 | 1 | 10 | 31:26 | 25 |
| დილა | 19 | 6 | 6 | 7 | 19:25 | 24 |
| სამტრედია | 20 | 7 | 1 | 12 | 22:40 | 22 |
| თსუ | 20 | 4 | 8 | 8 | 20:26 | 20 |
| სამგურალი | 19 | 5 | 4 | 10 | 18:35 | 19 |
| სიონი | 19 | 5 | 4 | 10 | 13:22 | 19 |
| გორდა | 19 | 5 | 2 | 12 | 26:40 | 17 |
| ივერია | 18 | 3 | 5 | 10 | 13:32 | 14 |
| კახეთი | 20 | 5. | 1 | 14 | 12:42 | 11 |

„ბათუმმა" აღმოსავლეთი უილბლოდ მოიარა: გუშინ მორიგი ორი ქულა დაკარგა.

XX ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე

### უცხელი

გერმანიის ჩემპიონატი.
კიოლნი 2:5 დუისბურგი
მიუნხენ 1860 3:0 გლადბახი
მეორე ბუნდესლიგა
მაინცი 1:1 ლიუბეკი
კარლ ცაისი 1:1 მანჰაიმი

საფრანგეთის ჩემპიონატი
მონაკო 2:0 ლილი

## ინგლისში წამსვლელ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

„უემბლიდან" მიღებულია იმ 23 ჟურნალისტის აკრედიტაციის დამადასტურებელი საბუთი, რომლებიც ინგლის — საქართველოს მატჩზე დასწრებას აპირებენ. კოლეგებს გთხოვთ სამშაბათს 13 საათზე მობრძანდნენ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში. თან იქონიეთ პასპორტი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და ორი ფოტოსურათი.

## სირცხვილი და თავისმოჭრა

### ოგანესიანს საქმეს ურჩევენ

სომხეთის ნაკრების მტკივნეულ მარცხს სომხური გაზეთები მყვირალა სათაურებით გამოეხმაურნენ: „სირცხვილია" („ფუტბოლ პლიუსი"); „კიდევ ერთი უმძიმესი დარტყმა სომხურ ფეხბურთზე" („პოლორაკი"); „ნგრევა თბილისში" („აზგ"); „ძნელი გზა და დიდი სირცხვილი" („ჰაიასტან კომუნისტ"); „ხორენ, ბიჭები ხელს გიშლიან?" („მარზაკან ჰაიასტან"). ჟურნალისტთა უმეტესობა მკაცრად აკრიტიკებს ნაკრების მთავარ მწვრთნელს და მის გადადგომას მოითხოვს. „მარკაზან ჰაიასტანი" წერს: „ჩვენ გვყავს ჩინებული მწვრთნელები: მარქაროვი, ანდრეასიანი, ზანაზანიანი. რატომ არ ვანდობთ მათ ნაკრების საჭეს? 0:7 ჩილესთან და 0:7 საქართველოსთან. კმარა წაგებები. 30 აპრილს ჩრდილოირლანდიელებს ვმასპინძლობთ და მოგება გვჭირდება". მარცხი ოფიციოზმაც მტკივნეულად განიცადა და 9 აპრილს, დილით, სომხეთის სპორტკომიტეტი აპირებს მოაწყოს დიდი შეკრება, რომელსაც ფეხბურთის სპეციალისტები, ჟურნალისტები და გულშემატკივრებიც დაესწრებიან. იმავე დღეს, 15 საათზე იგივე ხალხი ფეხბურთის ფედერაციაში შეიკრიბება, სადაც გადაწყდება კიდეც, დარჩეს თუ არა ხორენ ოგანესიანი ეროვნული გუნდის სათავეში.

## გარეთ სიცხადეა, შინ ბურუსი

პორტუგალიიდან საქართველოს რაგბის კავშირმა მიიღო ფაქსი, რომლის თანახმადაც ორი კვირის თავზე — 19 აპრილს, ფირა-ს პირველობის საჩემპიონო ნახევარფინალი პორტუგალია — საქართველო ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე იქაური დროით 16 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. თამაშის გადმოცემას თურმე გეგმავს პორტუგალიური ტელეკომპანია RTP. ჩვენებს მასპინძლები სტადიონის მახლობლად მდებარე ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „პენტაში" უპირებენ დაბინავებას.

ამასობაში, კვლავაც გაურკვეველი რჩება საქართველოს ჩემპიონატის გამართვის წესი და დაწყების ვადა. გუშინწინ კავშირის ვაკის ოფისში გამართულ შეკრებას დაესწრნენ „გუმარი", „ქორები", „ქიმიკოსი", ასკ (პირველი ჯგუფიდან) და „უნივერსიტეტი" და „დინამო" (მეორიდან). წარმომადგენლები არ მიუვლენიათ ვიცეჩემპიონ „ყოჩებს", აღდგენილ „შევარდენსა" და ქუთათურებს, რომელთა შესახებ ჭორად ისმის, წელს ერთი გუნდითღა იასპარეზებენო. ვინც თათბირს დაესწრო, უკვე მერამდენედ შეიტყობდა, რომ ჩემპიონატში სამონაწილეოდ უნდა წარადგინოს განაცხადი, კლუბის დებულება, შეჯიბრის პირველ ეტაპზე თამაშის გადასახადი 350 ლარი და კიდევ ბანკის თავდება, რომ კლუბი 3 400 ლარი შეძლების პატრონია.

ჩემპიონატი სავარაუდოდ ნაკრების პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღმოსავლეთის ექსპრესში ბათუმს ქულები ამოაცალეს

**მერანი 0:0 ბათუმი**

თბილისი. სტადიონი „ხინათლე"
მერანი: დოლიძე, ლ. ამბიძე, ქველაძე, გოგიბერიშვილი (დავითაშვილი 68), დანელია (ჯიშკარიანი 37), გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია, მაზიაშვილი (ცქოფურიშვილი 76), ბ. ამბიძე, გოდერძიშვილი, გოგიტაძე
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
უჯმაჯურიძემ ვერ გაიტანა პენალტი (54)
გაფრთხილება: ქველაძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**კობა ინასარიძე**

„ბათუმი" თბილისს მატარებლით ეწვია, რაც ცოტა არ იყოს, გასაკვირია, ისევე როგორც „მერანის" დანაკლისი — კაკუბავა, რომლის მატჩზე გამოუცხადებლობის გამო დანელიამ №17 მაისურით ითამაშა.

მოსალოდნელი დაძაბული ბრძოლა შედგა. სტუმრებმა, უკვე მერამდენე თამაშია, უცვლელი შემადგენლობა გამოიყვანეს. ჭეშმარიტად, ეტყობა, იმ ლოგიკას მისდევს, რომლის თანახმადაც მოგებული შემადგენლობა არ იცვლება.

შეიძლება ითქვას, რომ „მერანი" ხუთი მცველით თამაშობდა. ამათგან ერთ-ერთი გახლდათ გელა ქორიძე, რომელმაც თავისი ჩვეული ადგილი ბახვა ამბიძეს დაუთმო, თავად კი ქველაძესთან და გოგიტაძესთან ერთად დაცვის ცენტრში ჩადგა, ფლანგების მთელ სიგრძეზე კი ლაშა ამბიძე და დანელია მოქმედებდნენ. ეს უკანასკნელი ტულუშმა ისე დაჯაბნა, შესვენებამდევე შეცვალეს ჯიშკარიანით, ამან კი ლაშა ამბიძეს გაუცვალა ადგილი და ის მონაკვეთი, საიდანაც მასპინძლებს ყველაზე მეტი საფრთხე ემუქრებოდათ, ჩაიკეტა. მიუხედავად იმისა, რომ მცირე უპირატესობა „ბათუმისა" იყო, პირველმა მაინც თბილისელმა ბახვა ამბიძემ დაარტყა მეტად სახიფათოდ, მაგრამ ტოგონიძე ადგილზე დახვდა ბურთს. წუთიც და, სტუმრებმა შექმნეს ხიფათი: ტულუშმა თითქმის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა უჯმაჯურიძე, ის კი წაიქცა თუ წააქციეს და ბურთიც ხაზს იქით გაუგორდა. კუთხურის მოწოდების შემდეგ „მერანი" აშკარა გოლს გადაურჩა: სიჭინავა ყველაზე მაღლა ახტა და მისი თავური დოლიძის კარის ჯვარედინს მოხვდა. ამის შემდეგ ბათუმელებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე შანსი, მაგრამ დოლიძე უშეცდომოდ მოქმედებდა. პირველ ტაიმში სხვა დასამახსოვრებელი, ფაქტობრივად, არაფერი მომხდარა, მეორეში კი, იცოცხლეთ...

ორივე გუნდი მნიშვნელოვნად გააქტიურდა, ორმხრივმა იერიშებმაც იმატა, მაგრამ ასე ხუთიოდ წუთს თუ გაგრძელდა. აქედან მოყოლებული 85-ე წუთამდე ბათუმელების უპირატესობა აშკარა იყო, ისეთი, ყველა ნაღდი საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინათ, დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვებდნენ. იღბალი კი ჯიუტად „მერანის" მხარეს იყო. ჯერ იყო და, უჯმაჯურიძემ დააყოვნა დარტყმა, შემდეგ ტულუშს აბრაგანი გადაუგდო, მისი თავურის შემდეგ კი ქორიძემ პრაქტიკულად ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. ათი წუთის შემდეგ მატჩის კულმინაციაც დადგა. გუნთაძემ, ბოლოსდაბოლოს, პენალტიც დანიშნა. ბოლოსდაბოლოს იმიტომ, რომ პირველ ტაიმში უჯმაჯურიძის წაქცევაც პენალტს ჰგავდა, შემდეგ ტულუშის მომენტამდე კიდევ ერთხელ დადუმდნენ ტრიბუნები პენალტის მოლოდინში, როცა იგივე უჯმაჯურიძე წაიქცა. ბოლოს კი ის იყო, რომ უჯმაჯურიძის პასის შემდეგ ქველაძემ უკნიდან მოცელა ტულუში. პენალტის დარტყმა ბათუმელთა შტატიანმა, მაგრამ ამ ბოლოხანს ხშირად გამცუდებელმა უჯმაჯურიძემ იკისრა და უხეიროდაც შეასრულა — ბურთი დოლიძემ მოიგერია. ბათუმელმა ფორვარდმა დამატება კი მოასწრო, მაგრამ ახლა ხარიხას გაარტყა ბურთი, ბოლოს კი ღლონტის დარტყმული დიდი მანძილით გადასცდა კარს. გატანის ასეთი შანსის დაკარგვის შემდეგ ბათუმელები თითქოს უნდა გამტყდარიყვნენ, მაგრამ პირიქით, უფრო გააქტიურდნენ. მერანელებს საკუთარი ნახევრიდანაც უჭირდათ ბურთის ამოტანა, ამას შემდეგ უჯმაჯურიძე-ტულუშის კომბინაცია მოჰყვა: უჯმაჯურიძემ ტულუშს ჩააწოდა, გოგიტაძე უხეშად შეცდა, დოლიძესთან პირისპირ დარჩენილმა ტულუშმა კი მშვიდად დაამუშავა ბურთი, მაგრამ ზედმეტად გაერთო და საგოლე ველარ დაარტყა, უფრო სწორად, იყოჩაღა დოლიძემ, რომელიც ამ შეხვედრაში ყველასგან გამოირჩეოდა. ბუნებრივია, ამდენი საგოლე მომენტის გამოუყენებლობამ მატჩის მიწურულს „ბათუმზეც" იმოქმედა და დაუწერელი საფეხბურთო კანონის მიხედვით უნდა დასჯილიყო, მაგრამ ამჯერად ტოგონიძემ ივაჟკაცა, როცა ლაშა ამბიძის საჯარიმო მოიგერია. შემდეგ მახო მახარაძემ განმუხტა ქველაძის მეტად სახიფათო გარღვევა.

მოკლედ, ასე დასრულდა „მერანი" — „ბათუმის" მატჩი, რომლის ლოგიკური შედეგი უფრო „ბათუმის" გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ ფრეც არანაკლებ ასახავს ძალთა თანაფარდობას.


თემურ ტულუშს გივი ქველაძე მეურვეობს

**სამგურალი 0:0 კოლხეთი**

წყალტუბო. სტადიონი „26 მაისი"
სამგურალი: მამუკა თევზაძე, ლ. ქობულაძე, ბ. ჯანელიძე (გელაშვილი 46), კოლუაშვილი, გოგელიძე, მანაგაძე, ვამაკიძე, თევდორაძე (ძაგნიძე 35), დ. ჯანელიძე, ხურცილავა, ჯანაშია (ფესტვენიძე 46)
კოლხეთი: მ. გვასალია, მ. ქობულაძე (დ. მახარაძე 46), ტორჩინავა, გიორგაძე (ბულუხია 46), გოროზია, აბაშიძე, ფანჩულიძე, ღლანიძე, ხოლოდაშვილი, დარასელია, ე. გვასალია (თიბილაშვილი 84)
მსაჯი: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**იუზა კაციტაძე**
**წყალტუბოდან**

სტუმარ-მასპინძელს რადიკალურად საპირისპირო ამოცანების გადაჭრა უწევთ. წყალტუბოელთა მიზანი მოკრძალებულია — საშიში ზონიდან თავის დაღწევა და ჯგუფში ადგილის შენარჩუნება. ფოთელები უფრო პრესტიჟულ საქმეს ეჭიდებიან — მოწინავეთა შორის სურთ დამკვიდრება და თუ მესამე პოზიციას უკეთესზე გაცვლიან, მთლად კარგი.

მეტოქეებს ძირითადის თითო მოთამაშე აკლდათ: მასპინძლებს ორგაფრთხილებიანი მეკარე ქაჩახია, სტუმრებს — გრიპშეყრილი მიქაბერიძე.

ნახევარი საათი ისე გაილია, საინტერესო და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. არადა, ინერტულობას ვერცერთს დავწამებთ. პირიქით, ფეხბურთელები ბევრს მოძრაობდნენ, ბურთი კი საჯარიმოდან საჯარიმომდე ტრიალებდა.

პირველი საგოლე მომენტი წყალტუბოელებმა შექმნეს: 31-ე წუთზე მანაგაძემ ზუსტად ჩააწოდა დიმიტრი ჯანელიძეს, რომლის თავურის შემდეგ ბურთი სანტიმეტრებით გადასცდა ხარიხას. ორიოდ წუთში სიტუაცია განმეორდა, ოღონდ ახლა მასპინძელთა კართან — ელდარ გვასალიამ ახლოდან ააცილა თავური. შესვენებამდე დარჩენილ 5 წუთში ფოთელებმა ისე მწვავედ შეუტიეს, მასპინძლები ძლივს გადაურჩნენ ხიფათს. ჯერ ელდარ გვასალიამ მშვენივრად დაუგდო ბურთი ღლანიძეს, რომლის უძლიერესი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს. იქვე დარასელიამ კუთხური ჩააწოდა, გოროზიამ ყველას დაასწრო თავურით, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა დავით მახარაძე და ბულუხია გამოიყვანეს თავდასხმის გასაძლიერებლად, მაგრამ საპირისპირო შედეგი მიიღეს: 48-ე წუთზე ფესტვენიძე შეიჭრა კოლხთა საჯარიმოში და გოროზიას რომ გაჰქცეოდა, მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ მოულოდნელად წაიქცა. პენალტი? ყველაზე ახლოს შემთხვევის ადგილთან კვარაცხელია იდგა და ანიშნა, თამაში გააგრძელეთო.

მატჩის ბოლომდე გუნდებს თითო მომენტი ჰქონდათ, რომელთა გამოყენებას მეკარეებმა შეუშალეს ხელი. და თუ დარასელიას თევზაძე ადგილზე დაუხვდა, ფესტვენიძემ თავადვე გაარტყა ფეხებში გვასალიას.

**მარგვეთი 4:1 სამტრედია**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი
მარგვეთი: გვენცაძე, დ. ქელიძე, ბურჯელიძე, თ. გაბრიჭიძე, ლონდაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, გენაძე (ლანჩავა 70), უკლება (მღალურაძე 60), უკლება, მოსიკაშვილი (ბიგვულიძე 82)
სამტრედია: სტურუა (ჩანუა 36), ანჯაფარიძე, გვგეშიძე, ლორია, პაპლიაშვილი, ცომაია, შ. ჩომახიძე (ფხაკაძე 62), გ. ქელიძე (ფრანგიშვილი 46), მარკოზია, ივეჩიანი, ცარსაძე
0:1 ივეჩიანი (11), 1:1 მოსიკაშვილი (35), 2:1 უკლება (45), 3:1 ანჯაფარიძე (67 საკ. კარში), 4:1 სულაკაძე (80)
გაფრთხილება: ცომაია
მსაჯი: გ. ახკაროლლი (ქარელი)

**ბესიკ ჯანგავაძე**
**ზესტაფონიდან**

იყო დრო, ზესტაფონელებიც და სამტრედიელებიც ეროვნულ ჩემპიონატში დიდი მიზნებისთვის იბრძოდნენ. თავის დროზე ორივე გუნდი ევროტურნირებშიც მონაწილეობდა, დღეს კი ისინი უსახსრობამ ისე დააკნინა, ზესტაფონელები პირველ წრეში დაგროვებული ქულების წყალობით თუ გრძნობენ თავს მშვენივრად, სამტრედიელთათვის ჯერ არაფერია გარკვეული და მეტად სახიფათო ზონაშიც იმყოფებიან.

სახიფათო მომენტი პირველად სტუმართა კართან შეიქმნა. მე-10 წუთზე მასპინძელმა მოსიკაშვილმა გოლის გატანის უნაღდესი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. სამტრედიელთა საპასუხო შეტევა კი გოლით დასრულდა: ივეჩიანმა ბოლომდე იბრძოლა ზესტაფონელთა საჯარიმოში და ძლიერი დარტყმით გვენცაძეს მარცხენა კუთხეში გაუტანა. ეს იყო და ეს. ამის მერე სტუმრებმა ერთხელღა შეძლეს შეტევა — სამ სამტრედიელს ერთი ზესტაფონელი მცველი შერჩა, მაგრამ ჩომახიძის საბოლოო დარტყმა არაზუსტი გამოდგა. სტუმრებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი, რაც ნაადრევი გამოდგა. მასპინძელთა იერიშებმა 35-ე წუთზე გამოიღო ნაყოფი — უკლებას მიერ კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს მოსიკაშვილმა ბადეში მიუჩინა ადგილი. მასპინძლებს არც ამის მერე შეუწყვეტიათ იერიში და ტაიმის ბოლო წუთზე იხეირეს კიდეც: სამტრედიელთა მეკარის შეცდომით უკლებამ ისარგებლა და ცარიელ კარში თავით შეაგდო ბურთი.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დაიწყო. სამტრედიელები თამაშში გარდატეხის შეტანას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, ის კი არა, გოლიც გაუშვეს, თანაც ავტოგოლი — უკლებას მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებული ანჯაფარიძეს მოხვდა და კარში შევარდა. სტუმრებმა ერთხელაც გაიბრძოლეს, მაგრამ ცხადი იყო, იმ დღეს განწირულები იყვნენ. იმის მიუხედავად, რომ 3:1-ზე ზესტაფონელები მოეშვნენ და მათ შეტევებს სიმწვავე მოაკლდა, სულაკაძემ მე-80 წუთზე მაინც შეძლო გატანა. მასპინძლებმა მერვე ჩემპიონატის მეორე წრეში პირველად გაიმარჯვეს.


ჯონი ჯაგიდისი და ფირუზ რეხვიაშვილი ხარობენ

# თსუ ცუდ დღეშია

**თსუ 0:1 სიონი**

თბილისი. სტადიონი „შევარდენი"
თსუ: ბათიაშვილი, სულთანოვი (როსტიაშვილი 85), ვერემჩუკი, კობიაშვილი, გიორგი ქორიძე, კანკავა, ნ. მინდიაშვილი, კობახაშვილი, მელქაძე, ჩუხუა, ჩიგოშვილი
სიონი: ჩლაიძე, გ. ჩომახიძე, ყველაშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ხოსროშვილი, ტარტარაშვილი, გოგოლაძე (ც. სამხარაძე 88), ჯაგიდისი (მეფარიშვილი 90), მოსეშვილი
0:1 ხოსროშვილი (84)
გაფრთხილება: ყველაშვილი
მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

**მამუკა კვანტალიანი**

სტუმარ-მასპინძლის აუტსაიდერობა დაძაბული პაექრობის ხილვას გვპირდებოდა — გამარჯვება ხომ ორივეს ჰაერივით ჭირდებოდა, თორემ ვინ იცის... სპეციალისტები უპირატესობას მასპინძელ თბილისელებს კი ანიჭებდნენ, მაგრამ სტუმრებმა ერთობ იყოჩაღეს და ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საკუთარი მინდორი, თუ სათანადოდ არ გაისარჯე, დიდი ვერაფერი დამხმარეა და ბურთს ნებისმიერ კარში ერთნაირად შეუძლია შეგორება. ანზორ გძელიძის გუნდმა მეორე წრეში თითქმის ყველა კონკურენტს აართვა ქულები და თანაც სტუმრად. მასპინძლებს კი პირიქით, ჯერ თამაში ვერ მოეგოთ და ვერც გუშინწინ ივარგეს. ბოლნისელებმა კონტრიერიშებზე თამაში ირჩიეს და გაუმართლათ კიდეც. მათი შეტევების სულისჩამდგმელი ვეტერანი ჯონი ჯაგიდისი გახლდათ. მან თითქმის ყველა გადმოგდებული ბურთი დაისაკუთრა და კარისკენაც მწვავედ იწევდა. ეგ არის, ვეტერანს აღრინდელი სისხარტე აკლდა და წონაც მოსჭარბებოდა, მაგრამ რაც ჰქონდა, ისიც საკმარისი აღმოჩნდა ახალგაზრდა მეტოქეების დასამარცხებლად. არ ვაჭარბებ, თამაშის მერე ყველამ ერთხმად აღიარა, თსუელებს ჯაგიდისმა მოუგოო. მატჩში ერთადერთი გოლიც მისი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმის გათამაშების შემდეგ გავიდა: თამაშის მიწურულს ტარტარაშვილის ჩაწოდებულს ხოსროშვილმა თავით მიმართულება შეუცვალა, ბურთი ხარიხას მოხვდა და კარში ჩაეშვა. მანამდე კი, მართალია, მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ თავგანწირვით მოთამაშე „სიონის" დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. მთელი თამაშის მანძილზე შექმნილი სამიოდე-სამი სახიფათო მომენტი ოდენ შორეული დარტყმების შედეგი გახლდათ. პირველ ტაიმში ჯერ მელქაძემ გაარტყა ბურთი ხარიხას, რომელიც ჩუხუას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან დაჰკრა; მერე, მეორეში, ქორიძემ მოჭრილი დაარტყა და ჩლაიძე ისევ ხარიხამ იხსნა, მესამედ კი სტუმართა მეკარემ ივარგა — კობესაშვილის დარტყმული კუთხურზე მოიგერია. თავის გამოჩენა ჩუხუასაც შეეძლო, მაგრამ მის ჩინებულ დრიბლინგს და დარტყმას ყაველაშვილი გადაეფარა. სტუმრები კი დროდადრო მწარედ იჩხვლიტებოდნენ. მათ იერიშებს სისწრაფე აკლდათ, თორემ გოლს ადრეც გაიტანდნენ.

ეს არ იყო თბილისელთა საუკეთესო მატჩი, ალბათ ყველაზე უარესი კი იყო. ბოლნისელებმა სამი ქულა წაიღეს და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს, თბილისელები კი პირიქით — სახიფათო ზონას ერთობ მიუახლოვდნენ. ასეა, როცა სასურველი ტემპით ვერ ითამაშებ და ტექნიკური წუნიც ბლომად გექნება, საწადელს ვერ მიაღწევ. ეს ორივე გუნდზე ითქმის, მაგრამ ბედმა იმას გაუღიმა, ვინც მეტი მოინდომა.

**კახეთი 1:2 ტორპედო**

ნაფარეული. ცენტრალური სტადიონი
კახეთი: ახლანიძე, ნაკუდაიძე (ფოფხაძე 46), ნიჟლაური, ტარუღაშვილი, ბოჭორიშვილი (მესხიძე 65), ჯიკაევი, ჯაშიაშვილი (მაზანაშვილი 46), ტოკლიკაშვილი, შონია, ბაბულაიძე, ლევინიაშვილი
ტორპედო: კაკალეიშვილი, ხადილიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, მაღლაკელიძე, მარლიშვილი (მენგელია 88), კვეტენაძე, ქებაძე, გიორგი ლომიძე (ჯონჭარაძე 49), აშვეთია (მ. მეგრელაძე 83), ვაჩიბერაძე
0:1 აშვეთია (22), 1:1 ლევინიაშვილი (45), 1:2 ქებაძე (62)
გაფრთხილება: შონია
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**მერაბ მამულაშვილი**
**ნაფარეულიდან**

# ნაბიჯი წინ, ნაბიჯი უკან

რა მნიშვნელობა ენიჭებოდა მეტოქეთათვის ამ შეხვედრას, ძნელი მისახვედრი არ იყო — ქუთაისელებს ევროპისკენ უჭირავთ თვალი, თელაველებს კი ჯგუფში დასარჩენად უკანასკნელი ძალები მოუკრებიათ. უფრო მიზანსწრაფულნი სტუმრები გამოდგნენ და სასურველი სამი ქულა დამსახურებლად შეიმატეს, თანაც მაშინ, როცა დამსჯელი ხვადაგიანი, მეტრეველი და უმცროსი ხუჯაძე აკლდათ.

თამაშის დაწყებისთანავე ტორპედოელთა უპირატესობა თვალშისაცემი შეიქნა. უფრო გონივრული და უფრო ოსტატური თამაშის წყალობით სტუმრებმა მასპინძლებს საკუთარი ჩანაფიქრი მოახვიეს თავზე. ცალკეულ რგოლთა შეწყობილი ურთიერთმოქმედებისა და სწრაფი გადაადგილებების ხარჯზე ქუთაისელები გამუდმებით უტევდნენ „კახეთის" კარს და სახიფათო მომენტებსაც მრავლად ქმნიდნენ. მეურვეების სიფრთხილის მიუხედავად მუდმივად კარზე იყვნენ დაგეშილნი აშვეთია და ქებაძე, თამაშს უნარიანად უძღვებოდა მარლიშვილი, დაცვაც საიმედოდ გამოიყურებოდა. მაგრამ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარჯვენაფლანგელი ნახევარმცველი კახა კვეტენაძე, რომელიც ბევრს და სასარგებლოდ გაისარჯა. სწორედ მისი და მარლიშვილის გათამაშებული კომბინაციის შედეგად გახსნა ანგარიში აშვეთიამ. ტორპედოელებს შემდეგაც საკმაოდ ჰქონდათ საგოლე მომენტები, მაგრამ თანაგუნდელთაგან ულაპარაკოდ გამოსარჩევი „კახეთის" მეკარე ახლანაძე ძალზე საიმედოდ თამაშობდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ თელაველები უფრო დიდი ანგარიშით არ დამარცხდნენ. საერთოდ, მასპინძლები ძლიერ განსხვავდებოდნენ იმ მეტად მობილიზებული და მიზნის მისაღწევად შემართული „კახეთისგან", წინა ტურში „ბათუმს" ლირსეული ბრძოლა რომ გაუმართა. მართალია, ტაიმის ბოლოს ლევინიაშვილის გოლით ანგარიში გაიქვითა და მეორე ტაიმში დროული შეცვლების წყალობით კახელებმა ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ ეს ყოველივე „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის სოსო ფრუიძეს ფანდს უფრო ჰგავდა — მან შეგნებულად დათმო მოედნის ცენტრი (და არა თამაშის სადავეები) და კონტრშეტევები ირჩია — თელაველები ხომ მოსაგებად შეტევებს უნდა მისძალებოდნენ. სტუმრებს ვარაუდმა გაუმართლა და მალე მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს — საჯარიმოს კუთხესთან ხუჯაძემ წიკლაურს დაასწრო და ბურთი საჯარიმოში ჩაჰკრა, აქ კი მცველებს ქებაძემ აჯობა და ახლო მანძილიდან თავისიანები დააწინაურა.

ბოლოს კი ამის თქმა შეიძლება: გუნდებმა თითო ნაბიჯი გადადგეს — ქუთაისელებმა წინ, ევროტურნირზე გასასვლელად, თელაველებმა კი უკან, საიდანაც II ჯგუფი ჩანს.

თქვენ გიყვართ ფეხბურთი! ფეხბურთი გაძლევთ შანსს! უპასუხეთ მხოლოდ ხუთ შეკითხვას და დაისვენეთ ესპანეთში

# CROCO და ბრიტანული ფირმა Travel Club International

# სუპერ კონკურსი შანსით

## მთავარი პრიზი:

***ერთკვირიანი დასვენება ორ კაცზე სამხრეთ ესპანეთის ხმელთაშუაზღვისპირა ფეშენებელურ კურორტ კოსტა დელ სოლში!***

ახალ წლამდე თქვენთვის სასურველ დროს ივლის-აგვისტოს გარდა

**ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო;**

**ავიაბილეთები: თბილისი-მოსკოვი-მალაგა-მოსკოვი-თბილისი;**

**დახვედრა მალაგის აეროპორტში და სასტუმროში მიყვანა**

## საგანგებო პრიზი:

**ინგლისის ნაკრების ნაღდი მაისური გადაეცემა კონკურსის იმ მონაწილეს, რომელიც ყველაზე მეტ ვარიანტს ითამაშებს.**

პატიოსანი თამაშის პრინციპის დასაცავად 26 აპრილის „სარბიელში“ გამოქვეყნდება შემოსულ ვარიანტთა სრული ნუსხა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კონკურსში მონაწილეობის წესები

☑ კონკურსის მონაწილემ უნდა შეავსოს ქვემოთ შემოთავაზებული ბილეთი (პასუხი ჩაიწეროს შესაბამის გრაფაში), ამოჭრას და ჩააბაროს შემდეგ მისამართებზე:

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში (პუშკინის ქუჩა №16)

☑ კონკურსის მონაწილეს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი.

☑ თითოეული ბილეთის (ვარიანტის) ღირებულებაა 50 თეთრი, რომელსაც კონკურსის მონაწილე გადაიხდის ბილეთის ადგილზე ჩაბარებისას.

☑ ბილეთები მიიღება 5-დან 20 აპრილამდე ყოველდღე, ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა, 13-დან 16 საათამდე.

☒ მიიღება მხოლოდ „სარბიელიდან“ ამოჭრილი ბილეთები

☑ საკონკურსო ბილეთები დაიბეჭდება „სარბიელში“ 5, 8, 10, 12, 15, 17 და 19 აპრილს.

☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას ორმა ან მეტმა მონაწილემ გასცა სწორი პასუხი, მათ მიიწვევენ ბრიტანული ფირმის თბილისის ოფისში მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად.

☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას სწორად ვერავინ უპასუხა, მაშინ გამარჯვებულად ჩაითვლება ოთხ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ ბოლო ორ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემთ.

## დღევანდელ „სარბიელში“ გთავაზობთ ორ ბილეთს ანუ ორ შანსს!

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?
:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?
:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

ბილეთის ჩაბარების თარიღი №

ამ ორ გრაფას მხოლოდ ბილეთის მიმღები ავსებს

ბილეთის ჩაბარების თარიღი №

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?
:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?
:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

ბილეთის ჩაბარების თარიღი №

ამ ორ გრაფას მხოლოდ ბილეთის მიმღები ავსებს

ბილეთის ჩაბარების თარიღი №

# დიდი ფეხბურთის და ჩხუბის დღე

FRANCE 98

**შესარჩევი ტურნირი**

## I ჯგუფი

### ხორვატია 3:3 სლოვენია

ხორვატებს ბედმა ზურგი აქცია. გაიხსენეთ, წინა შაბათს ბრიან ლაუდრუპის ჩაწოდებული ბურთი ქარმა ცხრიანში რომ შეუგდო თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე! ოთხშაბათს, მართალია საქმეში ქარი არ ჩარეულა, მაგრამ რად გინდა — სლოვენი პრიმოზ გლიჰა ნებისმიერ ტაიფუნზე უარესი გამოდგა. ჯერ აცალა მასპინძლებს 2:0 დაწინაურება და პირველი ტაიმის მიწურულს ერთით უპასუხა, ხოლო შემდეგ, ხორვატებმა მესამეც რომ შეაგდეს, კატა-თაგვობანას თამაშს შეეშვა, კიდევ ორჯერ დალაშქრა მათი კარი და თამაში ფრედ დაასრულა.

ანგარიში 33-ე წუთზე რობერტ პროსინეჩკიმ გახსნა. ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ზვონიმირ ბობანმა მეორე შეაგდო, თუმცა, როგორც გაუწყეთ, 45-ზე გლიჰამ შეამცირა სხვაობა — მისი შორეული დარტყმა მეკარე ტონჩი გაბრიჩისთვის ნამეტანი გამოდგა. მეორე ნახევარში, მე-60-ზე ბობანმა ისევ დაიბრუნა ორბურთიანი უპირატესობა, მაგრამ გლიჰამ ხერხი შეცვალა, შორიდან დამიზნებას ახლოდან ცდა ამჯობინა და 65-ე და 67-ე წუთებზე მიაღწია კიდეც საწადელს. მსაჯის მიერ წამატებულ დროში სტუმრებმა კიდევ ერთი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს.

ასეთი რამ ფეხბურთელის კარიერაში ერთხელ ხდება — აღიარა გლიჰამ.

ხორვატთა მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი უხვსიტყვიანობის ხასიათზე ვერ იყო:

— არ მჯერა — მხოლოდ ესღა თქვა გაწბილებულმა.

პრესასთან უფრო ვრცლად საუბარი მისმა თანაშემწემ ბრანკო ივანკოვიჩმა იტვირთა:

— ორმა უხეშმა შეცდომამ საფრანგეთში წასვლის შანსი შეგვიმცირა, მაგრამ არა უშავს. ახლა სლოვენებზე გაცილებით ძლიერ მეტოქესთან, საბერძნეთთან გვიწევს შეხვედრა, რომელიც უთუოდ უნდა მოვიგოთ.

აღსანიშნავია, რომ ხორვატთა გუნდს ჩვეული ძირითადი შემადგენლობის ხუთი წევრი აკლდა.

### ბოსნია 0:1 საბერძნეთი

საბერძნეთი ბოსნიას გადაეკიდა და ისტორიულ შეხვედრებში ამარცხებს. აგვისტოში, ამ გუნდების მატჩი იუგოსლავიას გამოყოფილი ქვეყნისთვის პირველი ოფიციალური გახლდათ. მაშინ ბერძნებმა 3:0 იძალეს. ახლა ომგადახდილ სარაევოში, როგორც იქნა მასპინძლობის ნებართვა რომ ეღირსა, გამარჯვება ისევ ბერძნებს ხვდათ.

ერთადერთი გოლი 74-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა კონსტანტინოს ფრანცესკოსმა გაიტანა: მასპინძელთა გოლკიპერმა მის მიერ ჯარიმიდან დაბზრიალებულს ვერაფერი დაუპირისპირა.

თავის მხრივ ბოსნიამ რამდენიმე შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. ორი გოლის გატანა ესპანეთის „ტენერიფეში" მოთამაშე მეხო კოდროსაც შეეძლო, მაგრამ 88-ე წუთზე ფეხით ვერ დაუმიზნა, 90-ზე კი თავით.

პირველ საშინაო ოფიციალურ მატჩზე შეკრებილმა 30 ათასმა ქომაგმა ორტაიმიანი თავსხმის შემდეგ გულდამძიმებულმა დასტოვა სტადიონი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ხორვატია | 4 | 1 | 3 | 0 | 9:6 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |
| სლოვენია | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

## III ჯგუფი

### აზერბაიჯანი 1:2 ფინეთი

ბაქოში აზერბაიჯანის ძლევით ფინეთმა პირველი სამსოფლიოჩემპიონატო ქულები მოიპოვა. ანგარიში ამსტერდამის „აიაქსის" ვარსკვლავმა იარი ლიტმანენმა გახსნა: 25-ე წუთი იდგა, როდესაც მან მასპინძელთა მცველ მეჰმან იუნუსოვისგან საჯარიმოში უნებლიე პასი მიიღო. 66-ე წუთზე „ბოლტონის" ფორვარდმა მიკა-მატი პაატელაინენმა აზერბაიჯანის ნაკრების მეკარის ალექსანდრ ჟიდკოვისთვის აუღებელი დაარტყა. შეხვედრის დამთავრებას ათი წუთი რომ აკლდა, ფინელთა კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც ნაზიმ სულეიმანოვმა უხაკლოდ შეასრულა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |

## IV ჯგუფი

### შოტლანდია 2:0 ავსტრია

**შოტლანდია: ლეიტონი, ბერლი, ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი, ტ.მაკკინლი, გალაჰერი (მაკკოისტი 85), ლამბერტი (მაკგინლი 75), მაკალისტერი (მაკსტეი 90), კოლინზი**

**ავსტრია: კონსელი, შოპი, შიოტელი (კოგლერი 46), პფეფერი, ფაიერზინგერი, ჰერაფი, აიგნერი (ოგრისი 81), ვეტლი, პოლსტერი, ჰერცოგი, შტიოგერი (ვასტიჩი 67)**

**გოლი: გალაჰერი (24,77)**

„ბლექბერნის" თავდამსხმელმა კევინ გალაჰერმა ორი გოლით თავის გუნდს მორიგი გამარჯვება მოუტანა. გლაზგოს „სელტიკ პარკზე" პირველი სახიფათო მომენტი შოტლანდიელებმა შექმნეს. მე-11 წუთზე ავსტრიელთა მეკარე მიხაელ კონსელი გალაჰერს ფეხებში ჩაუხტა და მდგომარეობა განმუხტა. მასპინძელთა შემდეგი მომენტი გოლით დასრულდა. დარენ ჯეკსონი მარცხნიდან შევიდა კონსელთან პირისპირ. კონსელი ახლაც გაბედულად გამოვიდა მეტოქის შესავიწროებლად, მაგრამ დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა. ბურთი მიუვიდა გალაჰერს, მან კი მარცხენა ფეხით კარში მიუჩინა ადგილი. მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიშის შეცვლა ორ ეპიზოდს შეეძლო. ავსტრიელებმა ჯერ ჯარიმა შეასრულეს სახიფათოდ, მერე კი ჯეკსონს საჯარიმოში კვანტი გამოსდეს, თუმცა პენალტი არ დაინიშნა. მოკლედ, იმ დღეს გოლების გატანა მხოლოდ გალაჰერს ეწერა: ჯეკსონმა მაკგინლის მიაწოდა, თუმცა ამას წაართვეს. ბურთი მაინც შოტლანდიელს, ლამბერტს მიუვიდა, რომელმაც გალაჰერს გადააწოდა და ტაბლოზეც 2:0 აინთო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 7:0 | 14 |
| ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| შვედეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | 4 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ლატვია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |




მაკედონიელთა კარს ირლანდიელი ალან მაკლოფლინი უტევს

## IX ჯგუფი

### ალბანეთი 2:3 გერმანია

ულფ კირსტენმა თავი გამოიჩინა და ესპანეთის ქალაქ გრანადაში, რომელიც ალბანელთა სამასპინძლო ადგილად შეირჩა, ჰეთ-თრიქი შეასრულა. სათქმელია, რომ კირსტენი თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო. თავიდან ფსევდო-მასპინძლები იგებდნენ. უგოლო პირველი ნახევრის შემდეგ ანგარიში ალბანელმა ბელდარ კოლამ პენალტით გახსნა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ამ გუნდის მეორე გოლიც კოლამ შეაგდო, 90-ე წუთზე, პენალტითვე. შუალედში კი ულფ კირსტენმა იბატონა: 64-ე, მე-80 და 84-ე წუთებზე მის დარტყმულებს წინ ვერავინ გადაეღობა.

საგულისხმოა, რომ ალბანეთმა სულ ადრე კიდევ ერთი პენალტი დაარტყა, მაგრამ უშედეგოდ.

### უკრაინა 2:1 ჩრდ. ირლანდია

**უკრაინა: შოვკოვსკი, ლუჟნი, ბეჟენარი, გოლოვკო, ხრიმნიკი, მიხაილენკო, კადრაში, კალიტვინცევი, კოზოვსკი (ორბუ 72), შევჩენკო, რებროვი**

**ჩრდ. ირლანდია: რაიტი, ნოლანი, მორო, მორლოკი, ჰილი, ტაგარტი, გილესპი (მაკმაჰონი 81), ლომასი, ნელონი (ქუინი 75), დაუი, ჰიუზი**

**გოლი: კოზოვსკი (2), დაუი (14პ), შევჩენკო (70)**

ირლანდიამ მორიგი თამაში იმუშავა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, დაცვაც ორგანიზებულად ირჯებოდა, კონტრშეტევებზეც სწრაფად გადადიოდნენ, მაგრამ იქ, ბოლოს, შეტევაში რაღაც აკლდათ. მათ მწვრთნელს ბრაიან ჰამილტონს, მიუხედავად ამისა, ოპტიმიზმი არ დაუკარგავს:

— ყველაფერი ამით როდი დასრულდა. არითმეტიკა აჩვენებს, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, თუმცა ორი შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. ერთ-ერთი გოლის ლამის ცენტრიდან გაშვება ხომ ნამდვილი შოკია.

აღსანიშნავია, რომ „ნიუკასლის" ნახევარმცველმა კიტ გილესპიმ პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. ეს მიმდინარე შეჯიბრებაში მისი მორიგი გაფრთხილება გახლდათ, რის გამოც იგი ერევანში მომდევნო შეხვედრას გამოტოვებს. „ვესტ ჰემის" იან დაუიმ კი მე-14 წუთზე პენალტით ნაკრებში თავისი მეთორმეტე გოლი გაიტანა და ახლა კოლინ კლარკის რეკორდს ერთით ჩამორჩება.

ის, ლამის ცენტრიდან გაშვებული გოლი, რომელზეც ჰამილტონი ბრძანებდა, პირველი იყო: გილესპიმ ბურთი დაკარგა, შევჩენკომ კოზოვსკის გადააწოდა და მანაც 30 მეტრიდან დაარტყა. 70-ე წუთზე კი კალიტვინცევის პასით შევჩენკომ ისარგებლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 9 |
| გერმანია | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 5:5 | 6 |
| სომხეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:7 | 3 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

## V ჯგუფი

### ბულგარეთი 4:1 კვიპროსი

მე-2 წუთი რომ მოვიდა, დანიელ ბორიმიროვმა მეტოქის კარიდან რვა მეტრში მიიღო ბურთი და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. სანამ ტაიმი დამთავრდებოდა, ბულგარელებმა კიდევ ორჯერ გაახარეს ცივ წვიმაში შეკრებილი 30 ათასი თანამემამულე — ორჯერვე ცნობილმა ემილ კოსტადინოვმა შეაგდო. მეორე ნახევარში კი მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს. ჯერ კვიპროსელმა იოანიოს ოკასმა იყოჩაღა, ხუთ წუთში, 66-ზე კი მასპინძელმა ივაილო იორდანოვმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:2 | 8 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |




კრასიმირ ბალაკოვმა კვიპროსელთა დაცვა დაიწიოკა

## VIII ჯგუფი

### ლიტვა 0:1 რუმინეთი

ვილნიუსში ვიორელ მოლდოვანის მიერ მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გატანილმა გოლმა რუმინელებს მეხუთე შეხვედრაში მეხუთე გამარჯვება მოუტანა.

### მაკედონია 3:2 ირლანდია

**ირლანდია: ა. კელი, ირვინი, ფილანი (მერტი 56), მაკატირი, ბრინი, კინი, თაუნსენდი, მაკლაფლინი, კასკარინო (ო ნილი 46; დ. კელი 75), გუდმენი, სტონტონი**

**გოლი: მაკლაფლინი (8), სტოიკოვსკი (28 პ, 44 პ), ხრისტოვი (59), დ. კელი (78)**

ირლანდიელები გაწითლებული სახეებისა და ჯეისონ მაკატირის წითელი ბარათის ამარა დარჩნენ, მაკედონიელებმა კი მათ მიერ დამარცხებულ ლიხტენშტაინსა და კვიპროსს ბრიტანული ქვეყნის ნაკრებიც მიამატეს. ირლანდიელებმა მატჩიც წააგეს და გონებაც დაკარგეს: მსაჯის მიერ დამატებული მეორე წუთი რომ მიმდინარეობდა, მაკატირმა არტიმ საკირის წიხლი ლამის ყბაში მიარტყა. მსაჯი წითელი ბარათის აფრიალებას აპირებდა, მაგრამ სანამ ხელი ჯიბისკენ მიჰქონდა, მიტკო სტოიკოვსკიმ მაკატირს უთავაზა. როი კინმა, რომელსაც მეტოქის საჯარიმოში ყალბად წაქცევისთვის ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული, მოჩხუბართა გაშველება ინდომა, მაგრამ კინაღამ თავი გააძევებინა. გაშველების სურვილით იგი მაკედონიელებს ისე დაერია, რომ ნაღდად ჩხუბი გვეგონებოდა. იტალიელმა მსაჯმა დაუყოვნებლივ გააგდო მაკატირი და სტოიკოვსკი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 19:0 | 15 |
| მაკედონია | 6 | 3 | 1 | 2 | 18:10 | 10 |
| ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:3 | 7 |
| ლიტვა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:29 | 0 |

## VII ჯგუფი

### თურქეთი 1:0 ჰოლანდია

იმედია, კლარენს ზეედორფი ჰოლანდიაში ჩაუსვლელად, სტამბოლიდან პირდაპირ მადრიდს გაემართება. წინააღმდეგ შემთხვევაში „რეალის" ნახევარმცველს მშობლიურ პრესაში დიდი კრიტიკის წაკითხვა მოუწევდა. საქმე ის გახლავთ, რომ მან თურქთა კარში პენალტი ვერ გაიტანა.

ჰოლანდიელთა გუნდში ასეა — პენალტს „ეინდჰოვენის" ვიმ იონკი არტყამს. თუ მას არ შეუძლია, მაშინ ნიშნულთან ფრანკ დე ბური მიდის ხოლმე. სტამბოლში ესპანელმა მსაჯმა შეცვლაზე შესული პიერ ვან ჰუიდონკის წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი რომ დანიშნა, იონკმა უარი თქვა, ზეედორფმა კი დე ბურს ყურიც არ ათხოვა და მისი საქმე ისე ითავა. მატჩის შემდეგ მათი მწვრთნელი გუს ჰიდინკი განრისხებული გახლდათ:

— გუნდს კლარენსისთვის პენალტის დარტყმის ნება არ უნდა დაერთო. გამოცდილებით ვიცით, რომ იგი საამისო კაცი არაა, თუმც თავად საპირისპიროს ამტკიცებს.

ზეედორფმა, რომელიც სამშაბათს 21 წლის გახდა, თავი ასე დაიცვა:

— მხოლოდდამხოლოდ პასუხისმგებლობა ვიტვირთე, ავიღე ბურთი და თერთმეტმეტრიანი დავარტყი.

შეგახსენებთ, რომ ზეედორფმა პენალტი ევროპის პირველობაზე საფრანგეთთან მეოთხედფინალშიც ვერ გაიტანა მატჩისშემდგომ სერიაში, ოთხშაბათს კი თურქებს ჰაქან შუქურის თაურმა სამი ქულა მოუპოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 17:3 | 12 |
| ბელგია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| თურქეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:2 | 7 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 14:12 | 7 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0:25 | 0 |




იურგენ კლინსმანი ულფ კირსტენს ჰეთ-თრიქის შესრულებას ულოცავს

## VI ჯგუფი

### ჩეხეთი 1:2 იუგოსლავია

სავო მილოშევიჩმა დუშან უჰრინსა და მის ფეხბურთელებს მთელი იმედი თავზე დაამხო. იგი 82-ე წუთზე „მილანში" მოთამაშე დეიან სავიჩევიჩის ნაცვლად შევიდა მოედანზე და სულ ბოლო წამებზე, მასავით შეცვლაზე შესული ლუბიმკო დრულოვიჩის პასით პრაღის ცა ჩამოაქცია.

ჩეხებმა სასტარტო სასტვენიდანვე წაიგდეს უპირატესობა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ეტაპზე გაუჭირდათ. მათი ერთადერთი გოლი მადრიდის „ატლეტიკოს" წევრმა რადეკ ბეიბლმა შეაგდო 75-ე წუთზე. ამ გოლით მოსაგებად შემართულმა მასპინძლებმა რის ვაივაგლახით გაქვითეს „რეალის" პრედრაგ მიატოვიჩის მიერ 28-ე წუთზე გახსნილი ანგარიში, მაგრამ...

მატჩის შემდეგ ევროპის ვიცე-ჩემპიონთა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა თავი გაიმხნევა:

— ევროპის პირველობის შესარჩევში ლუქსემბურგთან რომ წავაგეთ, ყველას ეგონა, მორჩა, ჯგუფიდან ველარ გავალთო, მაგრამ ხომ ნახეთ, მერე რაც მოხდა.

— ამიერიდან სასწაულის მოსახდენად უნდა ვიშრომოთ — განაცხადა „კაიზერსლაუტერნის" თავდამსხმელმა პაველ კუკამ.

— ბოლომდე ბრძოლაა საჭირო, თუმცა დღეიდან იღბალმაც უნდა შეგვიწყოს ხელი — თქვა მარტინ ფრიდეკმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 19:3 | 16 |
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 20:4 | 15 |
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 12 |
| ჩეხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:3 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 5:22 | 0 |
| მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 0:27 | 0 |

FRANCE 98 შესარჩევი ტურნირი

## სამხრეთ ამერიკა

„ჩვენ ვიცით, რომ ფეხბურთი ემოციური თამაშია. ხანდახან ძნელია თავი შეიკავო, როცა მოვლენებში ხარ ჩართული, მაგრამ უმსგავსო ქცევას გამართლება მაინც არ აქვს. ფიფას შეუძლია მოთამაშეთა და ასოციაციათა მიმართ სანქციები გაამკაცროს, რაც ბევრ მათგანს სერიოზულ პრობლემას შეუქმნის, რადგან საქმე დიდ ფულს შეეხება."

ეს ფიფას ხუთშაბათის განცხადებაა. მსოფლიო ფეხბურთის მთავარმა ორგანიზაციამ იგი ხუთშაბათს გაავრცელა, მას მერე, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს არა გულშემატკივართა, არამედ ფეხბურთელთა ხულიგნობის ტალღამ გადაუარა.

პარაგვაიში ცნობილი მეკარე ხოსე ლუის შილავერი მოედნიდან გააძევეს, რადგან კოლუმბიელ ფაუსტინო ასპრილიასთან იჩხუბა. გოლკიპერი მოედნიდან რომ გადიოდა, მას მეორე კოლუმბიელი ვიქტორ არისტისაბალი დაესხა თავს. ამან გვარიანი დაკა-დაკა გამოიწვია, რის გამოც თამაში რვა წუთით შეწყდა.

არგენტინამ ბოლივიაში შეხვედრა ცხრა ფეხბურთელით დაასრულა. ნელსონ ვივასი და გუსტავო საპატა ბრაზილიელმა არბიტრმა უხეშობისთვის გააძევა მოედნიდან. გარდა ამისა, მას 17 წუთის დამატება მოუხდა, რადგან მატჩი გაუთავებელი ჩხუბების გამო წყდებოდა. არგენტინელი ხულიო კრუზი კი საერთოდ საკაცით გაიყვანეს მას მერე, რაც მოედანს მიღმა გადავარდნილი ბურთის აღებისას ბოლივიელი მოთამაშე მიუხტა და გალახა.

ცხრა კაცით დაასრულა პერუსთან შეხვედრა ეკვადორმაც. თავდამსხმელი აგუსტინ დელგადო 48-ე წუთზე მეტისმეტი უხეშობისთვის გააგდეს, კაპიტანი ლუის კაპურო კი 84-ზე მეტოქის ცემისთვის გაუყენეს მის გზას.

**ბოლივია 2:1 არგენტინა**

არგენტინელთა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე მისვლა იუარა. ნაწილობრივ ამის მიზეზი ისაც გახლდათ, რომ ბოლივიურმა გაზეთებმა მას ლაჩარი უწოდეს — ლა-პასში 3 800 მეტრზე ასვლა და თამაში ეშინიაო.

მე-7 წუთზე ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს — 1994 წლის მსოფლიოს პირველობაზე ნათამაშევმა ვეტერანმა ანტონიო სანჩომ თავურით შეაგდო. პასი ჯარიმიდან რამირო კასტილიომ ჩააწოდა. არგენტინელებმა შეჯიბრებაში მეორე მარცხისგან თავის დასაღწევად ლონიერ შეტევებს მიმართეს და 43-ე წუთზე ნესტორ გოროსიტომ გაქვითა. და მაინც, ბოლივიელებმა მეორე ტაიმში მრისხანე მოწინაალმდეგეს სამი ქულა გამოგლიჯეს: ოჩოაისპურმა მეკარე იგნასიო გონსალესს აჯობა. სხვა შემთხვევებში გონსალესმა დიდად გამოიჩინა თავი, მის თანაგუნდელს არიელ ორტეგას კი 60-ე წუთზე ძელისთვის რომ არ გაერტყა, იქნებ შეხვედრა ფრედაც დამთავრებულიყო.

**ურუგვაი 3:1 ვენესუელა**

მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს გონსალო დე ლოს სანტოსმა, „იუვენტუსის" პაოლო მონტერომ, რომელიც მოგვიანებით მეორე ყვითელი ბარათით გააძევეს და მარსელო ოტერომ. სტუმართა ერთადერთი გოლის ავტორი კი თავდამსხმელი რაფაელ კასტელონი გახლავთ.

ურუგვაი 35 ათასი მაყურებლის პრესში მოქცეულიყო. 12 თებერვალს ეკვადორში 0:4 მარცხის შემდეგ ხალხი ვამარჯვებას ითხოვდა. ამიტომაც მასპინძელთა გუნდმა ბურთთან პირველივე შეხებიდან შეტევა წამოიწყო. მათ 30-ე წუთზე ამოისუნთქეს, როდესაც პაბლო ბენგოეჩეას პასით გამთამაშებელმა დე ლოს სანტოსმა თავური ბურთი შეაგდო. მეორე ნახევარში ურუგვაელებმა ენერგიული თამაში განაგრძეს და 48-ეზე მონტერომ ასევე თავურით გაიორა.

ვენესუელამ მაინც მოახერხა მასპინძელთა ნერვების უკიდურესად დაძაბვა. კონტრშეტევა დიონი გერამ წამოიწყო, კასტელინმა კი წარმატებით დაავეირგვინა, თუმცა საქმე ასე მხოლოდ მე-60 წუთამდე გაგრძელდა. აქ კი „ვიჩენცას" ოტერომ, სერია A-ში 12 გოლი რომ აქვს გატანილი, შეხვედრის ბოლო გოლი შეაგდო.



ბოლივიელი ოჩოასპური სენსინის და საპატას გვერდს ცდილობს

**პერუ 1:1 ეკვადორი**

გოლი: 1:0 პალასიოსი (61), 1:1 აგუინაგა (80 პ)

**პარაგვაი 2:1 კოლუმბია**

გოლი: 1:0 გამარა (6), 1:1 ხერნა (87 პ), 2:1 ხოტო (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 9 | 6 | 2 | 1 | 12:5 | 20 |
| კოლუმბია | 9 | 5 | 2 | 2 | 15:8 | 17 |
| ბოლივია | 9 | 3 | 4 | 2 | 14:9 | 13 |
| ეკვადორი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:10 | 13 |
| არგენტინა | 9 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 13 |
| ურუგვაი | 9 | 4 | 1 | 4 | 9:11 | 13 |
| პერუ | 9 | 2 | 4 | 3 | 10:12 | 10 |
| ჩილე | 8 | 2 | 3 | 3 | 11:12 | 9 |
| ვენესუელა | 9 | 0 | 1 | 8 | 6:26 | 1 |

**ამხანაგური მატჩები**

ბრაზილია — ჩილე 4:0, საფრანგეთი — შვედეთი 1:0, შვეიცარია — ლატვია 1:0, უნგრეთი — ავსტრალია 1:3

## ალარ გვინდა ასეთი სამშობლო

ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და რვა მოთამაშემ ესპანეთში გამართული ორი შეხვედრის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვეს და გრანადის აეროპორტში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვეს. ამბავი უმალ გახმაურდა და აეროპორტში ჟურნალისტები გამოჩნდნენ, მაგრამ მათ იქ ვერავინ მოიხელთეს, რადგან ალბანელებს ტაქსი ექირავათ და მადრიდისკენ აეღოთ გეზი. მადრიდში ისინი საგარეო საქმეთა სამინისტროში შეცვივდნენ და განაცხადეს, თუ პოლიტიკურ თავშესაფარს არ მოგვცემთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო. საღამოს ალბანელებმა შენობა დატოვეს, თან კი ესპანეთის წითელი ჯვრის ორი წარმომადგენელი იახლეს. სამინისტროში უკვე დაიწყეს ამ საკითხის განხილვა.

შარშან, თუ გახსოვთ, პოლიტიკური თავშესაფარი ეთიოპიელებმა სთხოვეს იტალიის მთავრობას, მაგრამ ორკვირიანი ლოდინის შემდეგ უარი მიიღეს. ვნახოთ, რას მიაღწევენ ალბანელები.

### თასები, თასები...

ესპანეთის თასის ფინალში ნახევარფინალში ფავორიტებად შერაცხულნი გავიდნენ. „ბარსელონამ" „ლას პალმასს" უმასპინძლა და 3:0 მოუგო, ორი მატჩის ჯამში კი 7:0. თავდასხმის ბრაზილიური დუეტის, რონალდო-ჯოვანის არყოფნაში, გოლები ოსკარ გარსიამ, ლუის ენრიკემ და ფერნანდუ კოუტუმ გაიტანეს. მეორე ნახევარფინალში „ბეტისი" „სელტას" ესტუმრა, 1:1 ითამაშა და 20 წლის შემდეგ თასის ფინალში გავიდა. „ბარსელონა" — „ბეტისის" ფინალური მატჩი 28 ივნისს გაიმართება, მანამდე კი ესენი ჩემპიონატის მატჩში ბარსელონაში შეხვდებიან ერთმანეთს. პირველ წრეში სევილიაში „ბარსელონამ" 4:2 მოიგო.

ხუთშაბათს პორტუგალიის თასის მეოთხედფინალის კიდევ ორი მატჩი გაიმართა: ბენფიკა — სანდიჟენსეში 5:1, პორტუ — ბრაგა 2:0.

### კლინსმანი „რეალში"?

იურგენ კლინსმანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს „ბაიერნს" დაემშვიდობება და კარიერას აუცილებლად უცხოეთში გააგრძელებს. სად, ეს ჯერ არ გადაუწყვეტია. ეს რომ გაიგეს, ევროპის ბობოლა კლუბები მასთან საქმის გასაჩარხად დატრიალდნენ. მისი შეძენა ისურვეს „რეალმა" და „ევერტონმა". კლინსმანს ჯერ არ უთქვამს, საით მიუწევს გული, მაგრამ უცხო ქვეყნების გაცნობის მისეულ გატაცებას თუ გავითვალისწინებთ, მეტი შანსია, იგი „რეალში" ვიხილოთ: კლინსმანმა ხომ ესპანეთის გარდა ევროპის ყველა ძლიერ ჩემპიონატში ითამაშა. მშობლიურ გერმანიაზე ალარას ვიტყვით — იტალიაში „ინტერის" ღირსებას იცავდა, საფრანგეთში — „მონაკოსი", ინგლისში კი „ტოტენჰემის", სადაც ინგლისის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს...

### ბაჯოს რწმენა გადაარჩენს

რობერტო ბაჯომ, ვისაც საკი აშკარად არ წყალობს, „მილანის" დატოვება განიზრახა. რაც საკი „მილანში" მივიდა, ბაჯოსთვის თამაში სანატრელი გახდა. ამ დღეებში ბაჯომ ერთ სატელევიზიო გადაცემაში თქვა, თუ ამ სეზონის ბოლოს სასიკეთო ძვრა ვერ შევნიშნე, „მილანში" გაჩერებელი აღარა ვარო: „ძალიან მინდა, ნაკრებში ვითამაშო, მაგრამ, აბა, ვინ დაგიძახებს. კლუბშიც ვერ ვთამაშობ. ვიცი, ფეხბურთი ჩემს გარეშეც იარსებებს, მაგრამ მეც მინდა ჩემი სიტყვის თქმა. ნაკრებში დაბრუნების იმედი არასოდეს დამიკარგავს. ახლაც ვიმედოვნებ, რომ თამაშის საშუალება მომეცემა და „სკუადრა აძურას" გამოვადგები. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში კი მსურს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მცირე შანსიც კი არ დამრჩება, ეს კი ძალიან მტკენს გულს. მადლობას ვუხდი „მილანის" გულშემატკივრებს, ყველა მათ, ვისაც ჩემი თამაში მოსწონს და ჩამოწერილად არ მთვლის. თუ აღარ მათამაშებენ, სჯობს გამიშვან. ყოველ შემთხვევაში, ასეთ მდგომარეობაში მომავალ სეზონში თავს არ ჩავიგდებ".

ბაჯოს ერთი კვირის წინ „მილანის გულის" პრიზი ერგო. ამ ჯილდოს გულშემატკივრები იმას გადასცემენ, ვინც, მათი აზრით, კლუბში მებრძოლი სულის შენარჩუნებას უწყობს ხელს, მიუხედავად იმისა, თამაშობს თუ არა იგი ძირითადში. გულნატკენი ფეხბურთელის თქმით, შესაძლოა მომავალი სეზონი მან საფრანგეთში, ან სულაც იაპონიის ჯეილიგაში დაიწყოს.

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიის** თასის ფინალისტი „ვიჩენცა" სერია A-ს სადისციპლინო კომისიამ 90 ათასი დოლარით დააჯარიმა და კლუბის სტადიონიც ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა: 23 მარტს „ლაციოსთან" შინ 0:2 წაგებულ შეხვედრისას „ვიჩენცას" ქომაგებმა მოედანზე შეჭრა მოიწადინეს, მაგრამ პოლიციელები მაგრად დაუხვდნენ და შფოთისთავებმა სხვა რომ ვერა გააწყეს, მსაჯს და თანამსაჯებს ხურდა ფული დაასეტყვეს.

**გერმანიის** ჩემპიონატში მოთამაშე მილიონერ ფეხბურთელთა ოდენობამ 83-ს მიაღწია. არადა, ხუთი წლის წინ მობურთალი მილიონერი სულ 11 იყო. ყველაზე მეტი მილიონერი ბოლო ორი წლის უცვლელ ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას" და უეფას თასის მფლობელ მიუნხენის „ბაიერნს" ჰყავთ — ორივეს 14-14. ფეხბურთით გამდიდრებულთა შორის პირველ ადგილზეა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი წლიური 6,5 მილიონი მარკით. მერე მოდიან მისივე თანაკლუბელები ანდრეას მოლერი, შტეფან როიტერი და პაულუ სოუზა, ხუთეულს კი კლინსმანი აბოლოებს წლიური 4 მილიონ 250 ათასი მარკით. ფეხბურთელთა შემოსავლებში ხელფასის გარდა სხვა წყაროებიცაა გათვალისწინებული.

**ბელგიის** ჩემპიონატის მომავალი ტურის ერთი შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართა: „ანდერლეხტმა" 2:1 დაამარცხა „სტანდარდი".

**საფრანგეთში** გამოცხადდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში სტადიონებზე მისულთ 18-დან 30 წლამდე ასაკის მოხალისეები მოემსახურებიან. მათ დაევალებათ მაყურებელთათვის სრული კომფორტის შექმნა და დახმარება რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში. ჩემპიონატზე 5 ათასზე მეტი ასეთი მოხალისე იტრიალებს, რომლებსაც ფრანგულის გარდა კიდევ ერთი ენა, ძირითადად ინგლისური ეცოდინებათ.

**ინდოეთში**, ნერუს ოქროს თასად წოდებულ ხუთთა საერთაშორისო ტურნირში ხუთშაბათს ჩინელებმა და განელებმა 0:0 ითამაშეს.

**ბულგარეთში** საფეხბურთო მღელვარება დაიწყო. მესამე ლიგის კლუბ „მარეკის" მოთამაშეები და რამდენიმე ასეული ადამიანი ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის შენობას მიადგნენ და ქვეყნის ფეხბურთის მამების გადადგომა მოითხოვეს. აჯანყებულები კავშირის ხელმძღვანელებს კორუფციას აბრალებენ.

**ესპანეთის** ჩემპიონატის ლიდერის მადრიდის „რეალის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, მაისის შუამდე მოვიცდი, ვნახავ, ჩემი აქ დარჩენა ღირს თუ არაო. ამ ბოლო ხანს კაპელოს პრობლემები შეექმნა ხორვატ ფორვარდ დავორ შუკერთან. „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა თქვა, კაპელო ძალიან გვჭირდება, მის გაშვებას სულაც არ ვაპირებ, თუ მოისურვებს, ჩემპიონთა ლიგისთვის ახალ ფეხბურთელებსაც უყიდისო.

**ნიგერიის** ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მატჩში გვინეასთან ახალი მწვრთნელი, ფრანგი ფილიპ ტრუსიე უხელმძღვანელებს. ნიგერიელებს საფრანგეთის საგზურის მოსაპოვებლად უცილობელი გამარჯვება სჭირდებათ. ახალმა მწვრთნელმა შესვენების შემდეგ ნაკრებში დააბრუნა პრემიერლიგაში მოთამაშე ეფან ეკოკუ, ესპანეთის „კომპოსტელას" კრისტოფ ოჰენი კი პირველად მიიწვია.

**კამერუნის** კლუბი „რასინგ ბაფუსამი" აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის თასების მფლობელთა თასის გათამაშებას ჩამოაშორა. კამერუნელები უგანდის „უმემესთან" სათამაშოდ ერთი დღით გვიან ჩავიდნენ.

**საფრანგეთის** პირველობის ლიდერ „მონაკოს" სეზონის ბოლოს ბელგიელი ენცო შიფო და დანიელი დან პეტერსენი დატოვებენ. ორივემ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრიუსელის „ანდერლეხტთან". შიფომ სწორედ ამ კლუბში დაიწყო პროფესიონალის კარიერა და პეტერსენიც მან დაიყოლია ბელგიაში თამაშზე. დანიელი „მონაკოში" 1994 წელს გადავიდა „აიაქსიდან", პირველსავე სეზონში 15 გოლი შეაგდო, მაგრამ მერე ძირითადში იშვიათად ხვდებოდა.

**იტალიის** ჩემპიონატის უპრინციპულეს შეხვედრაში ქვეყნის ჩემპიონ „მილანსა" და ჩემპიონთა თასის მფლობელ „იუვენტუსს" შორის ვერ ითამაშებს მასპინძელთა ნახევარდაცვის ბურჯი დემეტრიო ალბერტინი. ექიმებმა მას ათი დღით დასვენება ურჩიეს ვარჯიშზე წვივის დაშავების გამო. ალბერტინიმ შესაძლოა ვერც 13 აპრილს ითამაშოს მილანურ დერბიში „ინტერის" წინააღმდეგ.

**გერმანიის** ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელის მათიას ზამერის აზრით, „ბაიერნში" შექმნილი პრობლემები ბუნდესლიგას ძალიან ვნებს. მისი თქმით, კლინსმანის გუნდიდან წასვლა მარტო კლუბს კი არა, მთელ ჩემპიონატს დაეტყობა, ამიტომ მათეუსს და კლინსმანს უჯობთ, პრობლემები მოლაპარაკება-შეთანხმებით გადაწყვიტონ და ისე მოიქცნენ, როგორც გერმანიის საფეხბურთო სამყაროს გაუხარდება.

**საფრანგეთის** ნაკრების მეკარე ბერნარ ლამა ნარკოტესტზე შემოწმებისას ჩავარდა და ეჭვი არაა, დისკვალიფიკაცია არ ასცდება. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია ჯერჯერობით თავს იკავებს მომხდარის შეფასებისგან.

**ინგლისში** 13 აპრილს ამ ჩემპიონატში საუკეთესოებს დააჯილდოვებენ. დიდი შანსია, საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშისა და საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი, ინგლისელი სპეციალისტების აზრით, მანჩესტერელმა დევიდ ბექჰემმა მოიპოვოს, თუმცა ახალგაზრდათაგან მას მძაფრ კონკურენციას უწევს ნორვეგიელი თანაკლუბელი სოლსკიაერი, საუკეთესო ფეხბურთელის პრიზზე კი დიდი დავა მოუწევს ასევე თანაკლუბელ ირლანდიელ როი კინთან და „ჩელსის" იტალიელ ლეგიონერ ჯანფრანკო ძოლასთან.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**უეფას თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩები

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტენერიფე — შალკე | (1,8-1,8) | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ინტერი — მონაკო | (1,55-2,1) | 1,6 | 3,0 | 4,4 |

**ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩები

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი — მანჩესტერ იუნაიტედი | (2,0-1,6) | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| აიაქსი — იუვენტუსი | (2,6-1,4) | 2,4 | 2,5 | 2,5 |

**თასების თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩები

10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარსელონა — ფიორენტინა | (1,45-2,4) | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| პარი სენ ჟერმენი — ლივერპული | (2,6-1,4) | 2,3 | 2,6 | 2,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;

ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის 16.

## ხელბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
თბილისი. 3 აპრილი. სპორტის სასახლე.

### საქართველო — ბელგია 19:19 (10:9)

**საქართველო:** ერაძე; ანდრიაშვილი, ორჯონიკიძე (1), კეკელიძე (4), კალანდაძე (5), ბოყოჩაძე (5), თორდია (2); მეიფარიანი (1), გვაზავა (1)

**ბელგია:** პოლფლიე; საკასკი (2), ბიულენი, დე ნილი, ძაფიკი (10), ომბელესტი (2), დელტომი (3); ვერმიულენი, ჰიუგერი (2), დოვინი

**მსაჯები:** ისქანდეროვი, ნეჩაევი (აზერბაიჯანი)

# იმედის ძაფი ძაფიკმა გაწყვიტა



უტევს ალეკო ბოყოჩაძე

„ბელგიელებს ორივე მატჩი უნდა მოვუგოთ“ — ასე ფიქრობდნენ საქართველოს ნაკრების წევრები შვეიცარიელებთან ორრაუნდიანი მძაფრი შეხვედრის შემდეგ და ვინ იცის, იქნებ ამ აუცილებლად მოგების განწყობამ, რომელიც ყოველ ჩვენს მოთამაშეს ჩაენერგა ცნობიერებაში, განაპირობა ის, რომ ჩვენმა ნაკრებმა გუშინწინ ყველაზე ცუდად ითამაშა ევროჩემპიონატის ამ შესარჩევ ციკლში. სხვა ახსნას ჩვენი ბიჭების ესოდენ შებორკილ თამაშს ვერ ვუძებნი, რადგან მათ არც ძალა დაუზოგავთ და ვერც ბრძოლის ჟინის უქონლობა დაეწამება რომელიმეს. თუმცა, არის ერთი თუმცა... რას ემყარებოდა ჩვენი ოპტიმიზმი — მხოლოდ იმ ციფრებს, რომელთაც ასახეს ჩვენი იმდღევანდელი მეტოქეების დამარცხებანი ჩვენს საერთო მოწინააღმდეგეებთან — ფინელებთან და შვეიცარიელებთან. ისე კი, ბელგიელთა ნაკრების შესახებ ჩვენს გუნდს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა, მათ კი ჩვენებზე, ჩანდა, ძალზე ბევრი რამ იცოდნენ. იცოდნენ, რომ მთავარი დამრტყმელი ძალა კალანდაძე და ბოყოჩაძეა და აკი მათ მჭიდროდაც მეურვეობდნენ. ჩვენს კაპიტანს მეიფარიანს შეტევის დასაწყისშივე არ ანებებდნენ მახვილგონივრული კომბინაციების ჩახლართვას, სწრაფ გარემარბ ანდრიაშვილს კი, რომელმაც ასე შესანიშნავად ჩაატარა წინა საშინაო მატჩი შვეიცარიასთან, გასაქანი არ მისცეს. საერთოდ, სწრაფი კონტრშეტევები ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი იარაღია, ამ დღეს კი მხოლოდ ერთი ასეთი შეტევა დაგვირგვინდა გოლით. მოკლედ, მეტოქეს ჩვენს შესახებ ყველაფერი კარგად მოეხსენებოდა, ჩვენ კი ისიც არ ვიცოდით, რომ ბელგიელებს ჰყავდათ ძაფიკი — ერთობ მაღალი კლასის ხელბურთელი. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ობიექტური მიზეზთა ბრალია. ჩვენი ნაკრები სასტუმრო მატჩებისთვის საჭირო თანხას გაჭირვებით შოულობს, მეტოქის თამაშზე ჩვენი მწვრთნელების დასწრება კი ისეთი ფუფუნებაა, ოცნებადაც არავის ჰქონია. თუმცა, ცოტა იღბალიც რომ ყოფილიყო, შეიძლება ეს მატჩიც მოგვეგო, მაგრამ...

ჩვენმა ნაკრებმა თამაში ოპტიმალური შემადგენლობით ვერ დაიწყო. რა თქმა უნდა, ამაში იმას არ ვგულისხმობ, რომ არ თამაშობდა თურქია, რომელიც კარგა ხანია ტრავმირებულია. არც იმას, რომ სასტარტო შვიდეულში არ იყო ჩვენი კაპიტანი მეიფარიანი. იგი, როგორც იცით, თავდასხმისას გამოდის ხოლმე. თამაში კი ბელგიელებმა დაიწყეს. მოულოდნელად, მატჩზე ჩამოსვლა ვერ შეძლო საბერძნეთში მოთამაშე ლევან გელაშვილმა, რომლის მონაწილეობა ნაკლებად საეჭვო იყო, ვიდრე ჩვენი მაკედონიური ტრიოსი. გელაშვილი საკმაოდ დიდი ძალაა ჩვენი გუნდისთვის, მაგრამ დასაწყისი არაფერს გვიქადდა ისეთს, რომ მისი არყოფნა გაგვხსენებოდა. ანგარიში მეორე წუთზე ტიტე კალანდაძემ გახსნა ჩვეული მაღალი ნახტომით. ბელგიელებმა პირველი შეტევები კარში დაურტყმელად დაამთავრეს და ამან თითქოს განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ არც ისე სერიოზულ მეტოქესთან გვქონდა საქმე. მალე მეიფარიან-კალანდაძე-კეკელიძის კომბინაცია მეორე გოლით დასრულდა, მე-6 წუთზე კი ორჯონიკიძემ 3:0 გახადა. მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაინც გაჩნდა, რადგან ჩვენების თამაშს აკლდა ის სილაღე, რისი წყალობითაც ფინელები და შვეიცარიელები დაამარცხეს. თუმცა საგანგაშო ჯერ არაფერი იყო. ბელგიელებსაც ხომ უნდა გაეტანათ და მერვე წუთზე ძაფიკმა 3:1 გახადა. მეიფარიანის გოლს ბელგიელებმა უპასუხეს და აქ მატჩში პირველი და ერთადერთი სწრაფი გარღვევაც გამოგვივიდა. ძაფიკმა და ტიტემ კვლავ გაცვალეს გოლები. აქ ბელგიელების დარტყმა ჩვენი კარის ძელმა მოიგერია და ანდრიაშვილმა ამით ვერ ისარგებლა — მეკარეს მოარტყა ბურთი. ომბელესტმა და ძაფიკმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა და მთელი პირველი ტაიმიც ასე — გოლი გოლზე გაგრძელდა, ოღონდ წინ სულ ჩვენები იყვნენ ხან ორი, ხან ერთი ბურთით, სანამ ჰიუგერმა ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში არ გაათანაბრა. ბოლო წუთებში კალანდაძემ გაიტანა და ტაიმი 10:9 მოვიგეთ.

მეორე ტაიმი ანდრიაშვილის ტყორცნით დაიწყო, მაგრამ იმ დღეს ანდროს უიღბლობა სდევდა — ბურთი ძელს მოხვდა. ნარიმანიძემ მოედანზე ახალგაზრდა გვაზავა შეიყვანა. ორჯონიკიძე და კალანდაძე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ იმის მიხედვით, შეტევაში იყო გუნდი თუ დაცვაში. რა თქმა უნდა, ტიტე შეტევისას გამოდიოდა. აქ ჩვენებს უიღბლობის სამწუთეული დაუდგათ. ჯერ ტიტემ მოარტყა ძელს, მერე გვაზავამ, შემდეგ ბელგიელთა მეკარემ აული ბოყოჩაძეს და ბოლოს კალანდაძემ ძელს მოხვედრილი მაინც გაიტანა. ქართველებს თითოეული გოლის გატანა დიდ ჯაფად უჯდებოდათ, მაგრამ როცა თორდიამ შვიდმეტრიანი გაიტანა, გვაზავამ კი ამას ერთი გოლიც დაამატა და 13:10 გახდა, იმედი ჩაისახა, რომ ჩვენები, ისევე, როგორც ფინელებთან და შვეიცარიელებთან. მატჩში, მეორე ტაიმში გატეხავდნენ მეტოქეს. მით უმეტეს, რომ მალე დელტომის გოლს კეკელიძის ჩინებული გარღვევით და ბოყოჩაძის თვალშეუვლები ტყორცნით გატანილი გოლებიც მოჰყვა — 15:11. მაგრამ იყო ერთი კაცი ბელგიელთა შემადგენლობაში, რომლის დარად თბილისში დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ (თორემ ადრე რომ ხელბურთელები გვინახავს...) არავის უთამაშია. ამ კაცმა ამ დღეს ყველანაირი გოლი გაგვიტანა — მეკარისთვის თავზე გადაგდებით, ფეხებს შორის, ცუცურმა, შორიდან ნახტომში. შესანიშნავი პასებით ხომ წამდაუწუმ ამარაგებდა თანაგუნდელებს. ჰოდა, სწორედ ამ ძაფიკმა ორი გოლით თვალისდახამხამებაში გაფანტა ჩვენი ოცნება იოლ გამარჯვებაზე და ისევ ორამდე შეამცირა სხვაობა 15:13. თამაშის გაძლოლა ბოყოჩაძემ იკისრა, ტიტეც წაეხმარა, მაგრამ რად გინდა — ორბურთიან სხვაობას ვერ გავცდით — 17:15. კეკელიძემ მეკარის მოგერიებულს ნახტომში დაამატა — ძელი, თორდიამ შვიდმეტრიანი დაარტყა — კვლავ ძელი, ერაძემაც აული ძაფიკსა და დე ნილს და აქ მსაჯმა შვიდმეტრიანი დანიშნა ჩვენს სასარგებლოდ. მას შემდეგ, რაც კალანდაძეს და თორდიას გაუცუდდათ შვიდმეტრიანები, ნიშნულთან ბოყოჩაძე მივიდა და შეაგდო კიდეც — 18:15. მაგრამ ეს ძაფიკი არ გვეშვება: ჯერ შვიდმეტრიანი გაგვიტანა, მერე შორიდან, ნახტომით — 18:17. დამთავრებამდე ორი წუთია. ბრწყინვალე კომბინაცია: კალანდაძის მიწოდებული მეიფარიანმა ერთი შეხებით ბოყოჩაძეს გადაუგდო. ალეკომ მეკარეს თავზე გადაუტარა ბურთი — ისევ ძელი. გოლი კი საჭიროა და აქ ჩვენი კაპიტანის მოხერხებულობა ჭრის: ვახო შვიდმეტრიანს „ჩალიჩობს“, ბელგიელი მცველებიც წამოეგნენ მის მანევრს და შვიდმეტრიანი: ბოყოჩაძემ არც ამჯერად გაგვაწბილა — 19:17 და წუთი და 12 წამი მატჩის დამთავრებამდე. მაგრამ რა გახდა ეს ძაფიკი. ოცდაცხრამეტი წამით ადრე იგი ერთ გოლს გვიტანს, ცხრა წამით ადრე მეორეს, ჩვენების ბოლო შეტევა კი უშედეგოდ მთავრდება — 19:19.



ასეთი დაცვის გარღვევა ირაკლი კეკელიძესაც უჭირდა



ბელგიელთა ლიდერი ძაფიკი და ჩვენების ახალბედა გვაზავა

ამ მატჩამდე ჩვენს გუნდს კიდევ ჰქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლის ძალზე მცირე შანსი. თუმცა ბრძოლის გასაგრძელებლად იმდენი პირობა იყო საჭირო, რომ ეს, ალბათ, არც მიიღწეოდა. ამ მატჩით კი საბოლოოდ გადაწყდა — ჩვენი გუნდი ვერ გაიმარჯვებს ოთხთა შეჯიბრებაში, თუნდაც ბელგიაში გასამართი ბოლო მატჩი მოიგოს. მაგრამ ბრძოლა მაინც ბოლომდე გვმართებს. ჩვენებს თავი არ დაუზოგავთ ამ ტურნირის ადრინდელ შეხვედრებში, ასეთი უიღბლო მატჩებისგან კი არავინაა დაზღვეული. მთავარია, მათ ყურადღება იგრძნეს ანუ (ნუ გაგეცინებათ) შინ, საკუთარი მაყურებლის წინაშე თამაშის საშუალება მიეცათ. მათაც დაამტკიცეს, რომ ძალუძთ ევროპის ქვეყნების ნაკრებებთან ბრძოლა, რომ იქ, სადაც თბილისის „ბურევესტნიკის“ შესანიშნავი გუნდი არსებობდა, სადაც უმაღლესი კლასის ოსტატები დაზრდილან, არ შეიძლება ხელბურთმა არ იცოცხლოს. ოღონდ სამომავლოდ გამარჯვებებისთვის საერთო გარჯაა საჭირო — სხვანაირად წარმატებები ვერ მოვა.

**ილია მჭედლიძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

## კალათბურთი

# არის!

**კორაჩის თასი.** ფინალი. საპასუხო მატჩი. 3 აპრილი

თოფაში (თურქეთი) — არისი (საბერძნეთი) 70:88 (77:76)

თურქებს თითქოს განაღდებული ჰქონდათ კორაჩის თასი, მაგრამ საპასუხო მატჩში „არისის“ პუერტორიკოელმა ხოსე ორტისმა 25 ქულა ჩააგდო და ბერძნებს ორი მატჩის ჯამში გამარჯვება დაუბევა. ბოლო წუთზე, თურქმა ქომაგებმა, როგორც ჩვევიათ, თამაშის ჩაშლა გადაწყვიტეს და მოედანზე ხურდა და ფიცრები გადმოყარეს. არავინ დაშავებულა, მატჩის შედეგიც ჩაითვალა და ბერძნებმაც შინ წაიღეს თასი.



AP ბულეტენი

ბერძნები თასის აღებით ხარობენ

**ევროლიგა.** მეოთხედფინალი

გადამწყვეტი მატჩები. 3 აპრილი

სტეფანელი (იტალია) — ოლიმპია (სლოვენია) 61:77. სერია 1:2

ტიმსისტემი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) 62:87. სერია 1:2

ეფეს პილსენი (თურქეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი) 57:60. სერია 1:2

„ოთხთა ფინალი“
რომი. 22-24 აპრილი

ნახევარფინალი

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ოლიმპია (სლოვენია)

ბარსელონა (ესპანეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი)

**NBA.** რეგულარული ჩემპიონატი

2 აპრილი

კლივლენდი — ბოსტონი 96:87, ტორონტო — ფილადელფია 112:90, შარლოტი — ატლანტა 95:84, მინესოტა — ნიუ ჯერსი 94:89, დეტროიტი — სან ანტონიო 99:92, ფინიქსი — ჰიუსტონი 109:96, იუტა — საკრამენტო 118:87, ლეიკერზი — დენვერი 110:85

3 აპრილი

შარლოტი — ნიუ ჯერსი 93:87, კლიპერზი — ორლანდო 113:94, ვაშინგტონი — ჩიკაგო 110:102, მაიამი — ინდიანა 92:78, სიეტლი — მილუოკი 103:80, გოლდენ სტეიტი — დალასი 106:90

## ჰოკეი

**NHL.** რეგულარული ჩემპიონატი

2 აპრილი. ჰართფორდი — მონრეალი 1:4, ბუფალო — ოტავა 0:2, ტორონტო — ფლორიდა 3:1, დალასი — აილენდერზი 5:4, კალგარი — კოლორადო 1:5, სან ხოსე — ანაჰაიმი 5:5.

3 აპრილი. პიტსბურგი — ჰართფორდი 5:5, ოტავა — ვაშინგტონი 4:0, რეინჯერზი — ბოსტონი 5:4, დეტროიტი — ტორონტო 2:2, სენტ ლუისი — აილენდერზი 5:5, ედმონტონი — ჩიკაგო 4:2, ლოს ანჯელესი — ფინიქსი 4:5.

შედარებით წყნარი სამშაბათის შემდეგ, როცა გუნდების უმეტესობამ დაბალშედეგიანი დაზავება იკმარა, ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. ცეცხლზე ნავთი ოტაველმა „სენატორებმა“ დაასხეს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მათ მცირე შანსები ჰქონდათ, მაგრამ გუნდმა ბრწყინვალედ ჩაატარა ბოლო მატჩები (6 მოგება 7 თამაშში) და კონფერენციაში მერვე ადგილზე გადაინაცვლა. მორიგ ორ შეხვედრაში „სენატორებმა“ სასწაული მოახდინეს — ზედიზედ ორჯერ შეინახეს კარი მშრალად. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოტავას გამარჯვება უშუალო კონკურენტ ვაშინგტონთან. დედაქალაქელებმა ვერაფერი მოუხერხეს გათავხედებულ მეტოქეს. პირველ პერიოდში დეიგლმა გახსნა ანგარიში, მეორეში „სენატორებმა“ კიდევ ორჯერ შეაგდეს, საბოლოო წერტილი კი გუნდის საუკეთესო სნაიპერმა იაშინმა დასვა. კანადელთა მეკარემ ტაგნატმა ორ მატჩში 36 დარტყმა მოიგერია. მანამდე კი ოტავამ შავი დღე აყარა ბუფალოს, რომლის გოლკიპერმა ჰაშეკმა 34 დარტყმა მოიგერია, თავად ბუფალომ კი მხოლოდ 15-ჯერ შეუტია ტაგნატს.

არანაკლებ გათამამებულმა აილენდერზმა ქულები დაკარგა დალასსა და სენტ ლუისში: პირველ მატჩში დალასმა გადამწყვეტი შაიბა ბოლო წუთზე შეუგდო, „ბლუზმენებთან“ კი პირიქით — აილენდერზი მთელი შეხვედრის განმავლობაში აგებდა და როდესაც სენტ ლუისის ახალბედა სლოვაკმა დემიტრამ ლიგაში თავისი პირველი ორი გოლი გაიტანა და ანგარიში 5:2-მდე გაზარდა, ბევრს მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა. აქ „კუნძულელებმა“ ნამდვილი შტურმი მოაწყვეს და 8 წუთში 3 შაიბაც გაახერხეს. კვლავ საუცხოოდ ითამაშა პალფი-რაიხელის დუეტმა, მეტადრე — სლოვაკმა. წინა კვირის საუკეთესო მოთამაშემ (პალფი ერთადერთია, ვინც წლეულს მეორედ აღიარეს კვირის საუკეთესო მოთამაშედ) ორ მატჩში 4 (3+1) ქულა დააგროვა და 47 შაიბით პიტსბურგელ იაგრთან მე-5 ადგილს იყოფს. რაც შეეხება დალასს, „ვარსკვლავებმა“ თავიანთი წაუგებელი სერია 11 მატჩამდე გააგრძელეს და ქულით ჩამორჩებიან კლუბის რეკორდს. უნდა ითქვას, რომ დალასი ჯერჯერობით ერთადერთი გუნდია, რომელმაც შეძლო 100 ქულის დაგროვება.

ფლეი-ოფში გასვლის კიდევ ერთმა კანდიდატმა მონრეალმა მეტად საჭირო გამარჯვება იზეიმა. ფინელი კოივუს დაბრუნება კლუბს სასიკეთოდ დაეტყო და მომდევნო მატჩში კანადელები უშუალო მდევარს — ჰართფორდს გაუსწორდნენ.

აღმოსავლეთში კიდევ ორმა გუნდმა გაიფორმა ფლეი-ოფის საგზური. პიტსბურგმა ჰართფორდთან საჭირო ფრეს მიღწია. როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა ლემიეს სამეული. თანაც ლემიემ კიდევ ერთი მიღწევა შემატა ნჰლ-ის ისტორიას: 611 გოლით მარიო მეექვსე გახდა სნაიპერთა შორის და ლეგენდარული ბობი ჰალი ჩამოიტოვა. ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა ევროპიდან ჩაყვანილმა ბერანეკმა, სტუმართაგან კი აილენდერზისგან შესყიდულმა კინგმა (2+1) გამოიჩინა თავი.

„პინგვინებს“ რეინჯერზმაც მიბაძა და აუტსაიდერ ბოსტონთან მოპოვებული მძიმე გამარჯვებით კვლავ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. გრეცკიმ კიდევ ერთი ზღვარი — 2 700 ქულა გადალახა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მისმა მეგობარმა მესიემაც (1+1) გაიხარა.

**სამველ ღარიბიანი**


5 აპრილს
სპორტის სასახლეში
17 საათზე
როკ-ანსამბლები და ავტოლატარია
დანს-როკი
ჯაზი და შოუ-ლატარია
ფეიერვერკის თანხლებით




ბილეთის ფასში შედის ავტოლატარია და სამი შოუ-ლატარიაზ
მობრძანდით! ისიამოვნეთ! მოიგეთ!

ფრენბურთი

# ქალებს ბარი ელოდებათ

21 აპრილს იტალიის ქალაქ ბარიში საქართველოს ქალთა ნაკრები ფედერაციის თასის გათამაშებაში ჩაებმება. ჩვენი ნაკრები ფედერაციის თასის (ქალებისათვის იგივეა, რაც დევისის თასი მამაკაცებისთვის) ევროაფრიკული ზონის პირველ ლიგაში გამოდის (ამის ზევით უმაღლესი ლიგაა). ქართველი ჩოგბურთელები ბარიში უკვე 10 აპრილს გაემგზავრებიან, სადაც თასის გათამაშებამდე ეგრეთ წოდებული სატელიტური ტურის შეჯიბრი დაიწყება. 20 აპრილს შედგება წილისყრა და გაირკვევა ჯგუფში ჩვენი გუნდის მეტოქეთა ვინაობა. ევროაფრიკული ზონის პირველ ლიგაში თხუთმეტი გუნდია (ერთმა უარი თქვა მონაწილეობაზე): ბელარუსი, ბულგარეთი, ფინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ისრაელი, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვენია, შვედეთი და უკრაინა. ეს გუნდები კენჭისყრით ოთხ ჯგუფად დაიყოფა და ჯგუფებიდან ორ-ორი გამარჯვებული უმაღლესი ლიგის საგზურისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

გვესაუბრება საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ლალი ზერეკიძე:

— ჩვენი მიზანი შარშანდელივით ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. თავად ხედავთ, რა ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ბრძოლა. გუნდში სამი მოთამაშეა: ნინო ლუარსაბიშვილი, სოფიკო მანაგაძე და ირინა კაკულია.

**— მაკა ჩახნაშვილი რატომ არ არის?**

— მაკა 16 წლამდელ გოგონათა აღმოსავლეთ ევროპის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, შარშან იგი 14 წლამდე ასაკის სპორტსმენებში ჩემპიონი გახდა.

**— თქვენი გუნდის შანსებზე რას იტყვით?**

— ჩვენი ამოცანა ლიგაში დარჩენაა. მეტის მიღწევა ჩვენი პირობების გამო შეუძლებელია. ამაზე არც კი ვოცნებობთ. ნაკრების გამოსვლაზე ბევრად იმოქმედებს წილისყრა, რომელიც მეტოქეებს შეგვირჩევს პირველ ეტაპზე.

ჩოგბურთელი ქალები თბილისს 27 აპრილს დაბრუნდებიან.

კალათბურთი

# მოდიან თუ არ მოდიან?

ვერის ბაღი. 3 აპრილი.
ხუთეულის გამოტოვებული მატჩი.

**ვითა — აზოტი 105:95**

**ვითა: ტურაშვილი (23), ჩხეიძე (26), ორმოცაძე (22), კოკოლიშვილი (8), ბერუაშვილი (6); ტულუში (18)**
**აზოტი: გაბისონია (11), კიკვიძე (16), გოგოლაძე (14), ხაიაური, ბოისა (29); კოქლამაზაშვილი (2), კეჭაყმაძე (7), ნოკლაური (16)**

VI-XII ადგილები

**3 აპრილი. მერანი — კოლხა 84:77, ახკ — კაქტუსი 63:58. 4 აპრილი. დინამო 2 — მერანი 102:85, კოლხა — მაკაბი 92:81**

ისევ ქუთაისის „იმერეთის" შესახებ. ეს გუნდი უფულობის გამო წინა ტურზე ვერ ჩამოვიდა, ამ ტურზე კი ოთხი ქუთაისელი საკუთარი სახსრებით ეწვია დედაქალაქს. პირველ ტურში მათ მოზარდი ჩარჩუა დაიმატეს და არმიელებთან დამარცხდნენ. ჩარჩუა გუნდის განაცხადში არ იყო და ამიტომ ქუთაისელებს სასჯელი ემუქრებოდათ, თუმცა ფედერაციამ გაითვალისწინა მათი ენთუზიაზმი და აღუთქვა — თუ დანარჩენი ქუთაისელებიც ჩამოვლენ ტურზე გათამაშებას გაგაგრძელებინებთ და განაცხადში შეუყვანელთა თამაშისთვისაც არ დაგსჯით, ხოლო თუ დანარჩენები არ ჩამოვლენ, გათამაშებიდან მოგხსნითო. როგორც გუნდის კაპიტანმა დავით ბერეკაშვილმა გვითხრა, ქუთაისელებს სურთ გააგრძელონ თამაში ჩემპიონატში, მაგრამ თუ ახლო მომავალში არ გამოჩნდა ხელშემწყობი, გუნდი დაიშლება. „ამით შეიძლება ჩემი საკალათბურთო კარიერაც დამთავრდეს" — თქვა ქუთაისელთა 24 წლის ლიდერმა. ქუთაისელთა პრობლემებზე არაერთხელ გვითქვამს და რაღა უნდა დავამატოთ გარდა იმისა, რომ ძალზე სამწუხარო იქნება, თუ საქართველოს პირველობა ქუთაისელთა გარეშე დარჩება.

**კოტე მგალობლიშვილი**

> საქართველოს ძიუდოს ფედერაცია თანაუგრძნობს ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს
> **მამის**
> გარდაცვალების გამო

რაგბი

# ფინალში შური ვიძიეთ




ოთხშაბათ ღამით ქართველი მორაგბეები ჩილედან დაბრუნდნენ, სადაც ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშეს. ჩვენმა ბიჭებმა მესამე ჯგუფში პირველობა არავის დაუთმეს და საგაისოდ მეორე ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს. რაგბის კავშირის ოფისში გავესაუბრეთ კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს, რომელიც ჩემპიონატზე ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

**— ბატონო ბიძინა, მოდით, თავიდან მოგვყევით, რა იყო და როგორ.**

— 19 მარტს თბილისიდან ურთულეს და მომქანცველ გზას დავადექით. პრაღის, პარიზის, მადრიდის, სან-პაულუსა და ბუენოს-აირესის გავლით, როგორც იქნა, სანტიაგოში ჩავფრინდით. ჩილეში მსოფლიო პირველობის მეორე და მესამე ჯგუფების გუნდები ასპარეზობდნენ, პირველი ჯგუფი კი ორგანიზატორებს არგენტინაში გაემწესებინათ. მთელი ქვეყანა ჩემპიონატით ცხოვრობდა, საერთოდ, ჩილეს მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს სპორტის განვითარებას. რაგბი იქ დიდი პოპულარობით სარგებლობს — ჩილეში მეორე ჯგუფის ფინალი პოლონეთს ქვეყნის ცენტრალურ სტადიონზე მოუგო, სადაც ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ატარებს მატჩებს. არავის დაცლენია, მორაგბეთა ბურთაობა მოედნის საფარს შელახავსო.

**— ჭაბუკ „ბორჯღალოსანთა" თამაშზე რას გვეტყვით?**

— ჩვენმა ბიჭებმა შესაშური მონდომებით ითამაშეს. 23 მარტს, დილის 10 საათზე ბულგარელებს შევხვდით. ქართველთა უპირატესობა შედეგშიც აისახა. 26-ში პაპანაქება სიცხეში ბრაზილიელებთან მოგვიწია შეჭიდებამ. მეტეოპირობებმა სიცხეს ნარჩევ მეტოქეს ვერ უშველა, ნოლზე მოვიგეთ და ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვეთ, სადაც ჰოლანდია გველოდა. ნიდერლანდელებს აქამდე ორი მეტოქე დაემარცხებინათ, კარგად თამაშობდნენ და ფავორიტადაც ითვლებოდნენ.

ფინალი ანდების ძირში განლაგებულ სარაგბო კომპლექს „ოულდ ბოიზის" მთავარ სტადიონზე გაიმართა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამარჯვებას ყველა ჰოლანდიელებს უწინასწარმეტყველებდა, მით უფრო, რომ ამ ქვეყანას ფირა-ს მმართველ ელიტაში ბევრი წარმომადგენელი ჰყავს, რაც არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია. მაგრამ ჩვენი ბიჭები ისეთი გახელებითა და ჟინით ეკვეთნენ მეტოქეს, რომ შეტევის წამოწყების არანაირი შანსი არ მისცეს. ქართველი მოწინავე მორკინალები მეტოქის გაცილებით მძიმე შერკინებას (ორივე ბურჯი 130-130 კილოგრამი იყო) არ ეპუებოდნენ და თავგანწირული თამაშით მეტოქეს ქასაქანს არ აძლევდნენ.

შეტევაში ჩვენი გუნდის გააზრებული კომბინაციები თავგზას უბნევდა ჰოლანდიელებს. მატჩის დასაწყისში ნოდარ ანდღულაძის გარღვევა თამაზ ჩადუნელმა გააგრძელა და პირველი ლელო გაიტანა. საოცარი იყო ვასიკო აბაშიძე, რომელმაც ჰოლანდიელთა მიერ გათამაშებული ბურთი ჩაჭრა და 60 მეტრი ისე ირბინა, ახლოსაც არავინ გაიკარა. კაპიტანმა ირაკლი მოდებაძემ გარდასახვა გაიტანა. ამის შემდეგ მსაჯი, რომელიც ისედაც აღმაცერად გვიცქერდა, აშკარად მეტოქეს მიემხრო და გვაჯარიმებდა. პირველი ნახევარი 12:3 დასრულდა, მეორეში მსაჯის მოხებით ჰოლანდიელებმა ანგარიში 3 ქულამდე შეამცირეს. ჩვენები აღელდნენ, მაგრამ მოდებაძის ზუსტმა საჯარიმო დარტყმამ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

ამ გამარჯვებით ჭაბუკებმა ჰოლანდიელთა მიერ სასტიკად ძლეული უფროსი ბორჯღალოსნების ჯავრიც იყარეს. ჩვენს ფინალს ფირა-ს პრეზიდენტი ალბერ ფერასი და მსოფლიო სარაგბო თემის მამები ესწრებოდნენ. ისინი ქართველთა თავგანწირულმა და გააზრებულმა თამაშმა ერთობ მოხიბლა. ეს მთლიანად ნაკრების მწვრთნელების — დავით კილასონიასა და ლევან მგელაძის დამსახურებაა.

ბიჭებს ამხნევებდა და სასურველ ფსიქოლოგიურ განწყობას უქმნიდა ბავშვთა რაგბის კომისიის თავკაცი ბათუ კევლიშვილი, რომელსაც ნაკრების წევრთა უმეტესობა გამოუზრდია. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანსა და განათლების სამინისტროს სამმართველოს ხელმძღვანელს დავით ბერძენიშვილს.

**— კომუნისტური პროპაგანდის წყალობით ჩილე მავნებელ ქვეყნად მესახებოდა, სადაც დესპოტი გენერალი პინოჩეტი ბოგინობდა...**

— ჩილე ულამაზესი, აყვავებული ქვეყანაა, მძლავრი ეკონომიკით. ხალხი იქ ბედნიერად ცხოვრობს, პინოჩეტი კი იქაურებს მხოლოდ იმით აწუხებს, რომ 82 წლისა შეიქნა. მათ აღარდებთ ეს და მუდამ პირზე აკერიათ — მამა და მარჩენალი როგორ დაგვიბერდა; რამე რომ მოუვიდეს, რა გვეშველებაო.

ქართული დელეგაცია სამშობლოში იმავე მარშრუტით დაბრუნდა. გზად ჩვენებურებს ბევრი საინტერესო და სახალისო რამ გადახდათ, მაგრამ ქართული გონებამახვილობისა და ვაზის ნაყოფის მეშვეობით ახერხებდნენ ბიუროკრატული წინაღობების გადალახვას. არგენტინაში ისე გამოვიდნენ აეროპორტიდან და პირველი ჯგუფის ფინალს ისე დაესწრნენ, ვიზები პასპორტებში ჩარტყმული არც ჰქონდათ. ჩილეში საფრანგეთის საელჩოს მოხელე იმდენად მოხიბლული ქართველებით, რომ ფორმალობებისთვის ყური არ უთხოვებია, სამუშაოს მერე დარჩენილა და ვიზები გაუფორმებია. ბატონმა ბიძინამ ერთი სალაღობო ამბავიც გაიხსენა...

— ფინალში გასვლის შემდეგ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს რესტორანში დაგვპატიჟეს. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, ბევრიც მინახავს და ვფიქრობდი, რამ უნდა გამაკვირვოს-მეთქი, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. იმდენი კერძი და უცხო ხილი ერთად ჯერ არ მინახავს.

მეორე დღეს თითქმის მთელს გუნდს ატკივდა ყბები. ავღელდით, რაიმე ტროპიკული სენი ხომ არ შეეყარათ ბიჭებს, აბა, ღრანჯის ლიანგური ტკივილი რა უბედურებააო. საავადმყოფოში ჩვენები ექიმმა გასინჯა და გვითხრა, ყველას ყბათაშორისი მენისკი აქვს გაღიზიანებული, ჭამის წინ მოთელვა ჩაატარონ, საკვები კი რაც შეიძლება დინჯად გაღეჭონო.

ჭაბუკ „ბორჯღალოსნებს". ჩილეში ერთი ლელოც არ გაუშვიათ. უკან დაბრუნებისას ბიჭები ორი დღე პარიზში უნდა დარჩენილიყვნენ და უქმად ყოფნას თავის კბილა ფრანგთა კლუბთან შერკინება ამჯობინეს. შეერკინენ და 45:5 დაანგრიეს კიდეც. ამ დღეს ქართველთა შეჩერება შეუძლებელი ყოფილა.

**ერეკლე კიკილაშვილი**



**პირველი ჯგუფის ფინალი: ფრანგები უტევენ, მაგრამ არგენტინა მეშვიდედ მაინც გახდა ჩემპიონი**

## ჭაბუკთა 29. მსოფლიო პირველობა

**პირველი ჯგუფი (არგენტინა; 22-30. III)**

ა: არგენტინა — ესპანეთი 82:3, იტალია — ესპანეთი 50:15, არგენტინა — იტალია 46:7

ბ: უელსი — რუსეთი 46:0, სამხრეთი აფრიკა — რუსეთი 46:11, უელსი — სამხრეთი აფრიკა 16:16

გ: რუმინეთი — ურუგვაი 35:13, საფრანგეთი — ურუგვაი 60:0, საფრანგეთი — რუმინეთი 51:7

დ: შოტლანდია — პორტუგალია 56:3, ირლანდია — პორტუგალია 39:20, ირლანდია — შოტლანდია 22:8

ნახევარფინალები: (IX-XII) ესპანეთი — პორტუგალია 23:7, ურუგვაი — რუმინეთი 30:10; (V-VIII) შოტლანდია — იტალია 34:7, სამხრეთი აფრიკა — რუმინეთი 25:15; (I-IV) არგენტინა — ირლანდია 42:0, საფრანგეთი — უელსი 40:12

ფინალები: (XI-XII) რუსეთი — პორტუგალია 25:7; (IX-X) ურუგვაი — ესპანეთი 14:5; (VII-VIII) იტალია — რუმინეთი 36:23; (V-VI) სამხრეთი აფრიკა — შოტლანდია 43:11; (III-IV) უელსი — ირლანდია 30:17; (I-II) არგენტინა — საფრანგეთი 18:12

**მეორე ჯგუფი (ჩილე; 23-29. III)**

მეოთხედფინალები: ჩილე — ბელგია 66:15, გერმანია — ტაივანი 31:5, პოლონეთი — მაროკო 34:10, ჩეხეთი — პარაგვაი 27:7

ნახევარფინალები: (V-VIII) ბელგია — პარაგვაი 28:24, მაროკო — ტაივანი 24:17; (I-IV) ჩილე — ჩეხეთი 39:0, პოლონეთი — გერმანია 27:15

ფინალები: (VII-VIII) პარაგვაი — ტაივანი 25:12; (V-VI) ბელგია — მაროკო 25:16; (III-IV) ჩეხეთი — გერმანია 16:6; (I-II) ჩილე — პოლონეთი 55:10

**მესამე ჯგუფი (ჩილე; 23-28. III)**

ა: საქართველო — ბულგარეთი 57:12, ბულგარეთი — ბრაზილია 3:0, საქართველო — ბრაზილია 39:0

ბ: ნახევარფინალები: ხორვატია — ანდორა 17:15, ჰოლანდია — ბოსნია 36:10; ფინალები: (III-IV) ანდორა — ბოსნია 21:0; (I-II) ჰოლანდია — ხორვატია 39:3

ფინალები: (V-VI) ანდორა — ბრაზილია 10:8; (III-IV) ხორვატია — ბულგარეთი 62:3; (I-II) საქართველო — ჰოლანდია 15:9

**საბოლოო კლასიფიკაცია**

1. არგენტინა, 2. საფრანგეთი, 3. უელსი, 4. ირლანდია, 5. სამხრეთი აფრიკა, 6. შოტლანდია, 7. იტალია, 8. რუმინეთი, 9. ურუგვაი, 10. ესპანეთი, 11. რუსეთი, 12-13. პორტუგალია და ჩილე, 14. პოლონეთი, 15. ჩეხეთი, 16. გერმანია, 17. ბელგია, 18. მაროკო, 19. პარაგვაი, 20-21. ტაივანი და საქართველო, 22. ჰოლანდია, 23. ხორვატია, 24. ბულგარეთი, 25. ანდორა, 26. ბრაზილია, 27. ბოსნია

**გაისად**

პირველობას ტულუზი (საფრანგეთი) მხარე უმასპინძლებს. ვარაუდობენ, რომ პირველ ჯგუფს დაემატებიან ახალი ზელანდია, ავსტრალია, ინგლისი და იაპონია. ამით 30-ე პირველობა პირველ ნაღდ მსოფლიო ჩემპიონატად იქცევა.

**სამადლობელი**

ჩემპიონატის შედეგები შეგვაწოდა და უკლებლივ მოგვაწოდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა დავით კილასონიამ.




## BODYPUNCHER და KO PUNCHER

„ბოდიპანჩერი" საკრივო ტერმინია და სიტყვასიტყვით სხეულზე დამრტყმელს, ტანზე მცემელს ნიშნავს. ეს ტერმინი იმ მოკრივეთა მიმართ გამოიყენება, რომელთათვისაც ღმერთს მართლაც ცემის ნიჭი მოუმადლებია, მაგრამ არ მიუნიჭებია კრივში ეგოდენ საჭირო და პრაქტიკული უნარი სანოკაუტო დარტყმისა.

დიახ, კრივში არსებობს სხვა ტერმინიც — „ქეიოპანჩერი", რაც იმას გულისხმობს, რომ მავან მოკრივეს მანოკაუტებელი დარტყმა ძალუძს. ასეთი რამ იმას ნიშნავს, რომ კრივის ბედი ერთადერთი მოქნევით შეიძლება გადაწყდეს. „ქეიოპანჩერობა" თანდაყოლილი, ბუნებით მომადლებული ნიჭი ყოფილა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ბოდიპანჩერსა" და „ქეიოპანჩერს" შორის უკეთესის გამორჩევა გამოუცდელ თვალს გაუჭირდება.

დიდი მოკრივეები ორივე რიგის მორკინალთა შორის მოიპოვებიან, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უფრო პოპულარულნი და სახელოვანნი „ქეიოპანჩერნი" გახლავან, რადგან, ბოლოსდაბოლოს, სანახაობის ყველაზე ეფექტური ბოლო არა „ბოდიპანჩერის" მიერ ქულებით მოგებული შერკინებაა, არამედ ნოკაუტი.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ „ბოდიპანჩერიც" მიაღწევს ნოკაუტს, მაგრამ ეს ნოკაუტი ტექნიკური უფროა, რადგან მოწინააღმდეგე გვემას უფრო გამოულენჩებია, ვიდრე სანოკაუტო დარტყმას.

ამის საპირისპიროდ, „ქეიოპანჩერს" შეუძლია ერთი მოხდენილი კომბინაციით, ან სულაც საშინელი სიზუსტისა და დარტყმის წყალობით ბრძოლა მოულოდნელად დაასრულოს.

ამ ორი ტიპის მოკრივეთა შორის განსაკუთრებული, თვალში „საცემი ჭიდილი დღევანდელ მძიმე წონაშიც მიმდინარეობს. მაგალითად, ფედერაციის ჩემპიონი მაიკლ მორერი „ბოდიპანჩერია", მას უჭირს საშუალო კლასის მოკრივის ნოკაუტით ძლევა. სანაცვლოდ შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ ურტყამდა ეს „ბოდიპანჩერი" ბზრეკ ჯორჯ ფორმენს, ამ უკანასკნელმა კი, როგორც განთქმულმა „ქეიოპანჩერმა" ერთი მოხდენილი დარტყმით გააკრა ზალიჩას.

ეს მორერის ერთადერთი წაგება იყო კარიერაში, ძია ჯორჯისთვის კი აგერ მერამდენე ნოკაუტი. განა მაიკლ მორერს არ მოუგია ნოკაუტით? მაგრამ ისეთ ფარჩაკ ვინმეებთან, რომ „ქეიოპანჩერად" არ ჩაითვლება.

არავის ეგონოს, რომ ძლიერი „ბოდიპანჩერი" რაიმეთი ჩამოუვარდება მენოკაუტე კაცს. ფორმენმორერის მაგალითი ნოკაუტის ოსტატთა სასარგებლოდ რომ მეტყველებს, სხვა მაგალითებიც მრავალია. გაიხსენეთ გასული წლის 9 ნოემბერი.

მსოფლიო უპირველესი „ქეიოპანჩერი" მაიკ ტაისონი დარღუბალასავით, ტექნიკური ნოკაუტით გაგორდა უპირველესი „ბოდიპანჩერის" ევანდერ ჰოლიფილდის მუშტებით. უძლიერეს მგვემელსა და დაცვის ოსტატს ტაისონმა ვერც ვერ ჩაუტარა თავისი განთქმული კომბინაცია. არა, კომბინაცია კი ჩაუტარა, მაგრამ ამ კომბინაციამ მიზანს ვერ მიაღწია.

ამიტომ, კაცი ვერ გაიგებს, „ბოდიპანჩერი" სჯობს თუ „ქეიოპანჩერი".

ორივეს თავისი ხიბლი აქვს.

მე თუ მკითხავთ, ამათ შორის მჯობნი არ არსებობს. ორივე ტიპის მძინეწონოსანი კრივის ნაწილია. თავისებურად საინტერესოა ორივეს ბრძოლა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ორი ტიპის მოჩხუბარი ერთმანეთს ხვდება.

სანამ კრივი არსებობს, „ბოდიპანჩერისა" და „ქეიოპანჩერის" ჭიდილი არ გასრულდება. მთელი ეს „პანჩერული" ისტორია იმიტომ გამახსენდა, რომ ერთ თვეში მორიგი დიდი ჭიდილია. ჰოლიფილდი და ტაისონი კვლავ ერთმანეთს ხვდებიან.

ჟგუფ მძიმე წონის მოკრივე ჭკუამხიარული, ოდნავ ნერწეტი, ოდნავ უხნავლელი ბიჭებიც კი იყვნენ, მაგრამ „ბოდიპანჩერობასა" და „ქეიოპანჩერობაში" მართლაც კარგები არიან. ახე რომ, დაელოდეთ მაისს.

ვინ გაიმარჯვებს — ძლვა თუ წვალდილობა?

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

### დღეს, შაბათს, 5 აპრილს

11.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ“; 12.00 ღლაბუცი: „შეაჩერეთ ავტობუსს!“; 13.00 საგიუმაყო ჟურნალი „სრბოლა“; 14.00 ავტორბოლა: ინდიკარის ჟურნალი „პოული“; 15.00 გამოცდა: ჭერქვეშა მსოფლიო თასი. ბერსიდან (პარიზი); 16.30 თხილამურები: თოვლის ხიბლი. შამონიდან (საფრანგეთი); 17.30 გორგოლაჭებით ციგურაობა. ბერსიდან; 18.30 ფარიკაობა: დიდი პრიზი. პაიდენპაიმიდან (გერმანია) (პ); 19.30 თრიქმოთი: მსოფლიო პირველობა. დეგნემიდან (ინგლისი); 21.00 „პოული“ (-); 22.00 კრივი: ქვემძიმე წონა. იუბენქი — ალარკონი (10 რაუნდი); 23.00 „მსოფლიოს ულონიერესი კაცი“; 24.00 ტუნისის რალი; 0.30 ჭერქვეშა ავტორბოლა. ბერსიდან (პ); 3.00 წყალბურთი: ევროპის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ნეაპოლიდან; 4.00 ბუნიკობანა: ევროპის პირველობა. სლაგპარენიდან (პოლანდია) (5.00-მდე)

### ხვალ, კვირას, 6 აპრილს

9.00 ავტორბოლა: ინდიკარის მსოფლიო სერიალი. ქვიზლენდიდან (ავსტრალია) (პ); 11.00 ინდიკარი (-); 12.30 ციგურაობა: შორთ-თრექის გუნდური მსოფლიო პირველობა. სეულიდან; 14.30 ინდიკარი (-); 16.00 საგზატკეცილო ველორბოლა: ფლანდრიის ტური (ბელგიიდან) (პ 16.30-დან); 20.00 მოტოციკლი: სეზონის წარდგენა; 21.00 მოტოციკლი: მაიქლ დუენის პორტრეტი; 21.30 ინდიკარი (-); 23.00 ავტორბოლა: ნასკარი. ვინსტონის თასის სერიალი. დალასიდან (ტეხასი) (პ); 3.00 ინდიკარი (-) (4.30-მდე)

### ზეგ, ორშაბათს, 7 აპრილს

11.30 ტუნისის რალი; 12.00 ფლანდრიის ტური (-); 13.00 შორთ-თრექი (-); 15.00 ტუნისის რალი; 15.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები; 16.30 დუენის პორტრეტი (-); 17.00 ავტორბოლა: კარტინგის სეზონის წარდგენა; 18.00 ინდიკარი (-); 19.30 ჭერქვეშა ავტორბოლა (-); 21.00 ფეხბურთი: მსოფლიო თასის ლეგენდები; 22.00 კრივი: მსუბუქი წონა. ევროპის პირველობაზე. ემლი — დომინგესი; 23.00 ავტოჟურნალი „ჩაუქი სამყარო“; 0.30 სუმო: ბაშოს ტურნირი. ოსაკადან (იაპონია); 1.30 ტუნისის რალი; 2.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო გოლები“; 3.00 სნუქერი: ევროპის ლიგა (4.30-მდე)

(-) იგივე; (?) ექსპრომტად; (ა) ახალი ამბები; (გ) გაგრძელება; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90

# რაგბი



## მობრძანდნენ, დაგხვდებითო!

17 წლის შემდეგ, პოსტ-აპარტჰეიდულ ხანაში კი პირველად, ოთხი ბრიტანული ქვეყნის ნაკრები, სახელად „ლომები“ რომ ქვია, მაისის ბოლოდან სამხრეთ აფრიკას ჩავა. 7-კვირიანი ტურნეს პროგრამაში 13 მატჩია. მათგან სამია ტესტი: „ლომები“ და მასპინძელი „ქურციკები“ 21 ივნისს ქეიფთაუნში შეიბმებიან, 28 ივნისს — დურბანში, 5 ივლისს კი — იოჰანესბურგში.

„ლომთა“ ახლანდელი შემადგენლობა ოთხშაბათს, ბრიტანული თანამგზავრული ტელე-სისტემის — „სქაი თი-ვის“ სტუდიაში გამოქვეყნდა და ეთერში პირდაპირ გადაიცა. ბრიტანელთა ინგლისელმა მენეჯერმა, თავადაც ნაფთრიკალმა ბებერმა ლომმა ფრენ ქოთონმა მსოფლიოს ამცნო 35 რჩეულის ვინაობა. რაკი ინგლისმა წლევანდელ ხუთი ერის პირველობაზე დედა უტირა კელტ მეზობლებს, სატურნეო გუნდში ნახევარზე მეტი — ერთბაშად 18 კაცი გაიყვანა. ერთ დროს ძლევამოსილ



უელსს ამჯერად მხოლოდ რვა „ლომი“ ეყოლება, შოტლანდიას — ხუთი, მაჩანჩალა ირლანდიას კი — ოთხი.

„ლომების“ უფროსობა ტრადიციულად კელტური იყო. ახლაც ასეა: მთავარი მწვრთნელი იენ მაკგიქანი და მისი ბებერი თანაშემწე ჯიმ ტელფერი სქოთები არიან. სამაგიეროდ, კაპიტანი ნაღდი ანგლო-საქსია — 27 წლის მეორეხაზელი მარტინ ჯონსონი (ფოტოზე), 201 სანტიმეტრი და 116 კილო რომ გაზრდილა. თუმცა „ლესთერის“ ფორვარდი და ნაკრებში დერეფნის ძირითადი მომგები ჯონსონი კაპიტანი არასოდეს ყოფილა, მისი დაწინაურება ქოთონს კლუბის ავსტრალიელმა მწვრთნელმა ბობ დვაიერმა ურჩია.

„ლომებს“ აფრიკაში უმძიმესი მატჩები ელით. კაპიტანმა აღიარა, მასპინძლები — გინდ ნაკრები და გინდ პროვინციული გუნდები, ალბათ ერთობ ხისტად გვეთამაშებიანო. ქოთონმა ჯონსონი დიდად აქო, მეტოქენიც კი პატივს ცემენო. მაკგიქანმა ბრძანა, გუნდი ისე შევადგინეთ, რომ მოედანზე ერთბაშად რამდენიმე კაცი გვყავდეს, ვისაც გადაწყვეტილების მიღება ხელეწიფებაო.

მეტოქის შემადგენლობის გამოცხადებას ტელევიზიითვე სახელდახელო კომენტარი გაუკეთა „ქურციკთა“ ლეგენდარულმა 10 ნომერმა ნაას ბოთამ. მან შენიშნა, წელს ჩრდილოეთი ნახევარსფეროო წამოეწია სამხრეთს; ამიტომ „ლომები“ საკმაოდ ძლიერები შეგროვდნენო.

ბოთამ ბრიტანელთა სუსტ ადგილებზეც გაამახვილა ყურადღება, ესაო და 15 და 10 ნომრები არ უვარგათო. გარე ნახევარმცველად სტუმრებს დააკლდებათ 34 წლის უელსელი ჯონათან დევისის ბადალი გენიოსი და კიდევ ეშხიანად მობურთალი ინგლისელი მაიქ ქეთი, რომლის დაწუნებაც ერთგვარი მოულოდნელობა იყო. რაც შეეხება თაუნზენდს, ბოთას აზრით იგი უფრო 12 ნომერია, ვიდრე 10. აი, მცველად კი „ლომებს“ თუმცა შეუგულებიათ ძალზედ საიმედო კარში დამრტყმელი ჯენქინსი, მოთამაშედ იგი, აბა, როგორ მოვა თუნდაც ჩვენს ანდრე ჟუბერთანო, — უთქვამს ბოთას.

ჩვენდათავად დავძენთ, რომ ამჟამად ჯენქინსიცა და ჟუბერიც დაშავებული არიან. დამტვრევა ტურნეს დაწყებამდე ალბათ ბევრ სხვასაც ვერ აცდება. ამიტომ „ლომების“ უფროსობას უთუოდ მოუწევს რჩეული 35-ეულის გადახალისება.

### აფრიკას მიმავალი ბრიტანელი ლომები

ი — ინგლისი; ირლ — ირლანდია; უ — უელსი; შ — შოტლანდია

უკანა ხაზი. 15: თიმ სთიმფსონი (ი), ნილ ჯენქინსი (უ); 14-11: იაიან ევანსი (უ), თონი ანდერვუდი (ი), ჯონ ბენთლი (ი), ნიკ ბილი (ი); 13-12: სქოთ გიბსი (უ), ალან ბეითმენი (უ), ჯერემი გასქოთი (ი), ვილ გრინვუდი (ი), ალან თეითი (შ); 10: გრეგორ თაუნზენდი (შ), პოლ გრეისონი (ი); 9: რობ ჰაული (უ), ოსთინ ჰიილი (ი), მეთ დოუსონი (ი)

შერკინება. 1-3: პიტერ კლოპესი (ირლ), ჯეისონ ლენარდი (ი), გრემ რაუნთრი (ი), თომ სმითი (შ), დევიდ იანგი (უ); 2: ქის ვუდი (ირლ), მარკ რიგანი (ი), ბარი ვილიამსი (უ); 4-5: მარტინ ჯონსონი (ი, კაპ), საიმონ შოუ (ი), ჯერემი დევიდსონი (ირლ), დოდი ვიარი (შ); 6-8: რიჩარდ ჰილი (ი), ნილ ბექი (ი), ლოურენს დალალიო (ი), რობ ვეინრაითი (შ), თიმ როდბერი (ი), ერიკ მილერი (ირლ), სქოთ ქვინელი (უ)

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

საბურთალო — ვეკე — ვაკის VII არხით

### დღეს, შაბათს, 5 აპრილს

7.30 რესლინგი; 8.30 კალათბურთი: ნბა (მ); 9.00 კრიკეტის კვირეული; 9.30 აზიური ფეხბურთი (მ); 10.30 გოლფი: მოთამაშეთა პირველობა (ბოლო დღე); 13.00 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი (ანტიგუადან). IV ტესტი, I დღე (რ); 14.00 რესლინგი; 17.00 ნბა (-); 17.30 აზიური სპორტი (მ); 18.00 კრიკეტი (-); 19.00 კრიკეტი (-) II დღე (პ); 21.00 დოლი: დიდი ეროვნული (ლივერპულიდან); 21.45 კრიკეტი (გ); 2.00 კრიკეტი: შარჯას თასი (რ); 2.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 3.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი; 4.30 დოლი (-); 5.00 რესლინგი; 6.00 ნბა (-); 6.30 კრიკეტი: II დღე (რ)

### ხვალ, კვირას, 6 აპრილს

7.30 კრიკეტი: სამხრეთი აფრიკა — ავსტრალია. IV თითოდღიანი; 8.30 კალათბურთი: ნბა. კვირის რჩეული მატჩი: სიეტლი — დალასი; 10.30 კრიკეტი: შარჯა. ზიმბაბვე — პაკისტანი (პ); 14.00 ნბა (მ); 14.45 კრიკეტი (გ); 18.30 გოლფი: პროფ-ტური (მ); 19.00 კრიკეტი: IV ტესტი, III დღე (პ); 21.00 კრიკეტი: შარჯა (რ); 21.45 კრიკეტი: III დღე (გ); 2.00 კრიკეტი: IV თითოდღიანი; 3.00 კალათბურთი: სიეტლი — დალასი (-); 5.00 (?); 6.30 კრიკეტი: III დღე (რ)

### ზეგ, ორშაბათს, 7 აპრილს

7.30 გოლფი (მ); 8.00 (?); 9.30 კრიკეტი: IV თითოდღიანი; 10.30 კრიკეტი: შარჯა. ზიმბაბვე — შრილანკა (პ); 14.15 აზიის სპორტი (მ); 14.45 კრიკეტი (გ); 18.30 სინგაპურის სრუტის რეგატა; 19.00 კრიკეტი: IV ტესტი, IV დღე (პ); 21.00 კრიკეტი: შარჯა (რ); 21.45 კრიკეტი: IV დღე (გ); 2.00 ფეხბურთი: მალბოროს ჩინური ლიგა; 3.30 გოლფი: მოთამაშეთა (III დღე); 6.30 კრიკეტი: IV დღე (რ)

### მაზეგ, სამშაბათს, 8 აპრილს, შუადღემდე

7.30 აზიური ფეხბურთი (მ); 8.30 ცხენოსნობა: ვოლვო (-); 9.30 მსოფლიო სპორტი (მ); 10.30 კრიკეტი: შარჯა. პაკისტანი — შრილანკა (პ); 14.15 ინდური სპორტი (მ)

(-) იგივე; (?) ექსპრომტად; (ა) ახალი ამბები; (გ) გაგრძელება; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

## თამაში — მასებს, სარფი — კავშირს!

მარკეტინგს თავისი კანონები აქვს. ისინი კარგად უწყიან ავსტრალიური რაგბის მამებმა, ლიგის რაგბთან და იქაურ ბურთაობასთან ქიშპობის გამო მუდამჟამ რომ უხდებათ შესაშური მარიფათის გამოჩენა.

ბოლო წლებია, ლიგამა და ბურთაობამ ქვეყნის სანახაობათა ბაზრის აუთვისებელ უბნებს შეუტიეს. რაგბიც ასე მოიქცა და ტრადიციონალისტთა აზრით არნახული მკრეხელობაც ჩაიდინა. წელს ქვეყნის ნაკრები „ვოლაბიზი“




ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსს“ გარდამავალი ბლედისლოუს თასის მატჩში უმასპინძლებს არა სიდნეიში ანაც ბრისბენში, არამედ არა-სარაგბო შტატის — ვიქტორიის დედაქალაქ მელბურნში.

ისტორიული მატჩი 26 ივლისს გაიმართება ბურთაობისა და კრიკეტის უპირველეს სტადიონ „ემ-სი-ჯი“-ზე. მისი ტრიბუნები 98 ათას კაცს იტევს. ბილეთების ბოლო, 25-ათასიანი პარტია წინა კვირაში გაიტანეს გასაყიდად და ციმციმ გასაღდა. მოკლედ, დამყარდება რაგბის მატჩზე დასწრების სამხრეთ ნახევარსფეროული რეკორდი, ავსტრალიის რაგბის კავშირს კი საარაკო ფული შეუვა. თამაშიც ახალ ქომაგთა მრავალრიცხოვან ლაშქარს შეიძენს.

# კრივი



## შმაგიაო, მსმ თქვესა

15 ივნისს დიდი ზეიმი ექნება მენეჯერთა-მენეჯერ დონ კინგს, ვინაც ნიუ-იორკის შტატის ქალაქ კანასტოტაში „კრივის დიდების დარბაზის“ წევრად უნდა აკურთხონ. კინგს უბრძანებია, ჩემი გამორჩევა მთლიანად დიდი ჩემპიონების დამსახურებაა, ამიტომ კურთხევაზე ვეპატიჟები ყველას, ვინც კი ოდესმე საჩემპიონოდ მიჩხუბებიაო. ამათ სიაში ხვდებიან მუჰამედ ალი, ხულიო-სესარ ჩავესი, მაიკ ტაისონი, ჯორჯ ფორმენი, რობერტო დიურანი, ბასთერ დაგლასი, ევანდერ ჰოლიფილდი, შუგარ-რეი ლენარდი და სხვანი.

წესითა და რიგით, კინგის წვეულებას უნდა დაესწროს მძიმეწონოსანი ექს-ჩემპიონი ოლივერ მაკქოლიც, მაგრამ საქმე მთლად კარგად ვერა აქვს — ცოლისა და დედის მოთხოვნით საგიჟეთში ჩაუსვამთ. ოჯახის წევრებს პოლიციისთვის მიუმართავთ, ოლივერი მთლად ვერაა ჭკუაზე და ემანდ ან ჩვენ არ დაგვმართოს რამე, ან თავს არ ივნოსო. პოლიციას მოკრივე ქუჩაში დაუჭერია. მაკქოლიც არ გაძალიანებია, რაც, თუ მის ბოლო კრივს გავიხსენებთ, უცნაურად არ მოგვეჩვენება.

სულ ახლახან, 7 თებერვალს არ იყო, ლას-ვეგასში, საბჭოს (ვბკ) საჩემპიონო შერკინებაში ოლივერმა ჯერ ზურგი რომ აქცია მეტოქე ლენოქს ლუისს, მერე კი ატირდა. დაბნეულმა რეფერიმ შერკინება შეწყვიტა, მაკქოლს კი ჯერაც არ მიუღია 3 მილიონი, ჰონორარად რომ ერგება.

# ჩოგბურთი

## ჰინგისი წინ მიიწევს

ესპანელ არანჩა სანჩეს-ვიკარიოს ისე უყვარს ჰილტონ-ჰედ-აილენდის (სამხრეთი კაროლინა, აშშ) ტურნირი, რომ უკვე 11 წელია, არ აკლდება. ამგვარი ერთგულება აიხსნება იმით, რომ ხსენებული შეჯიბრი თიხაზე ტარდება, არანჩა კი სათიხნარო სეზონს, რომლის კულმინაციაც მის მიერ ორგზის — 1989 და 1994 წლებში მოგებული საფრანგეთის ღია პირველობაა, სამხრეთ კაროლინური ტურნირის მიხედვით იგეგმავს.

სანჩესმა (2) შარშან მეათე ცდით, როგორც იქნა, მოიგო ტურნირი, წელს კი მეოთხედფინალსაც ვერ უწია: თუმც ოთხშაბათს 6:2, 6:2 დაამარცხა სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი), ხუთშაბათსვე 2:6, 7:5, 0:6 წააგო ამანდა კუტცერთან (სამხრეთი აფრიკა, 13), ვისთანაც აქამდე გამართული 15 მატჩიდან 13 მოეგო. არანჩა 73-წუთიანმა მეორე ხელმა ისე გატეხა, რომ მესამეში 19 უნებლიე შეცდომა მოუვიდა და ნულზე წააგო.

სამაგიეროდ, ჯანზეა მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი. მის გამო ამბობდნენ, აქამდე რომ გალაღებული იყო, ახლა ვნახავთ, პირველ ნომრად რარიგ ივარგებსო. ნორჩმა შვეიცარელმაც ივარგა: სამშაბათს 6:0, 6:4 დაამარცხა ბარბარა რიტნერი (გერმანია), ხუთშაბათს 6:3, 6:3 — ბარბარა შეტი (ავსტრია) და წუხელ მეოთხედფინალში ეთამაშებოდა უცნობ გერმანელ ვილტრუდ პრობსტს, ვისაც მერვედფინალში პირველსავე ხელში დანებდა მაჯამტკივანი ირინა სპირლეა (რუმინეთი, 8).

ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ ქვეყანას თავი ამ 7 წლის წინ ჰილტონ-ჰედში გააცნო — ფინალში გავიდა. ცდომილმა ქალმა წელს კარგად დაიწყო: სამშაბათს 6:3, 4:6, 7:6 (7-3) დაამარცხა მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 11), ოთხშაბათს 6:2, 6:0 — აი სუგიამა (იაპონია), მაგრამ მეტი ველარ შეძლო: ხუთშაბათს 0:6, 7:5, 3:6 თავად დამარცხდა კონჩიტა მარტინესთან (ესპანეთი, 5), ვისაც ამ ქალაქში ორჯერ — 1994 და 1995 წლებში გაუმარჯვნია.

მონიკა სელეშმა (აშშ, 4) სამშაბათს 6:3, 6:3 დაამარცხა ტაივანელი ში-ტინგ ვანგი. ხუთშაბათს გავარდა კიდევ ორი განთესილი: იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 3) იმსხვერპლა ბრენდა შულცმა (ჰოლანდია, 14) 6:3, 6:3, ივა მაიოლის (ხორვატია, 9) კი 3:6, 7:6 (7-5), 6:3 მოუგო ანკე ჰუბერმა (გერმანია, 7).

| ვაჟთა ჩოგბურთის ელიტა | | | ქულა | * | US $ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პიტ სამპრასი | აშშ | 5666 | 2 | 723,778 |
| 2 | თომას მუსტერი | ავსტრია | 4080 | 1 | 727,778 |
| 3 | მაიქლ ჩანგი | აშშ | 3554 | 3 | 634,399 |
| 4 | ევგენი კაფელნიკოვი | რუსეთი | 3147 | | |
| 5 | გორან ივანიშევიჩი | ხორვატია | 2710 | 4 | 500,535 |
| 6 | რიხარდ კრაიჩეკი | ჰოლანდია | 2598 | 17 | 168,855 |
| 7 | თომას ენკვისტი | შვედეთი | 2312 | 14 | 210,310 |
| 8 | კარლოს მოია | ესპანეთი | 2180 | 8 | 313,969 |
| 9 | მარსელო რიოსი | ჩილე | 2168 | 20 | 155,163 |
| 10 | ვეინ ფერერა | სამხ. აფრიკა | 1940 | 39 | 110,665 |
| 11 | ბორის ბეკერი | გერმანია | 1863 | | |
| 12 | ალბერტ კოსტა | ესპანეთი | 1857 | 33 | 122,123 |
| 13 | თოდ მარტინი | აშშ | 1693 | 93 | 48,100 |
| 14 | ფელიქს მანტია | ესპანეთი | 1681 | 45 | 99,053 |
| 15 | თიმ ჰენმანი | ბრიტანეთი | 1611 | 13 | 231,852 |
| 16 | სტეფან ედბერგი | შვედეთი | 1510 | - | |
| 17 | ჯიმ კურიე | აშშ | 1452 | 9 | 291,910 |
| 20 | სერხი ბრუგერა | ესპანეთი | 1437 | 6 | 354,135 |
| 23 | იონას ბიორკმანი | შვედეთი | 1337 | 7 | 321,601 |
| 29 | ანდრე აგასი | აშშ | 1262 | | |
| 32 | თოდ ვუდბრიჯი | ავსტრალია | 1210 | 5 | 359,918 |

* წელს მოხვეჭილი ფულის მიხედვით მიკუთვნებული ადგილი

# დოლი



არაბთა გაერთიანებული საამიროების ტახტის უფლისწულის — შეიხ მუჰამედის დაჟინებამ თავისი ქნა: ხუთშაბათ საღამოს დუბაიში მაინც გაიმართა მსოფლიოს უძვირესი დოლი. შაბათისგან განსხვავებით ამჯერად არ უწვიმია, ნადალშებას იპოდრომის ქვიშრობი კი შეიხის მიერ გამოყოფილმა შვეულმფრენმა აშრო.

გაიმარჯვა სინგსპილმა, რომელსაც ინგლისელი მაიქლ სთაუთი წვრთნის, დუბაიში კი ამერიკელმა ჯერი ბეილიმ აჭენა. 35 ათასი თვალ-და-თვალ მოსეირისა და 100-მილიონიანი ტელე-აუდიტორიის თვალწინ ამ ცხენმა ბოლო 400 მეტრზე ჩამოიტოვა მეტოქეები და საიფონს 5 მეოთხედი ტანით მოუგო, სანდფითს კი — ერთნახევრით. გამარჯვებულის პატრონებს ჯილდოდ ოქროს თასი და 2,4 მილიონი დოლარი ერგოთ. ბეილიმ დუბაიში შარშანაც გაიმარჯვა, ოლონდაც სიგარით.

მძლეოსნობის ენთუზიასტი ლექსო ბურნაძე სირბილის მოყვარულთა კლუბ „კუსა“ და ფირმა „ელიზის“ შემწეობით კვლავ აწყობს ტრადიციულ კროსს — „ერთგულების თასის“ XVIII გათამაშებას. წელს შეჯიბრი კვირას, 20 აპრილს, ძველებურადვე ვაკის პარკში, რაგინდარა ამინდში გაიმართება და როგორც ყოველთვის, დილის 11 საათზე დაიწყება. დისტანციაც იგივეა — პარკის ხეივნებში გამავალი ტრასის ოთხი წრე, სულ 5 240 მეტრი.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29